

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

75-ს
993

IV
69

სამართლის
სერია


2.1993

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИИ

სამართლის
სერია

СЕРИЯ
ПРАВА



2. 1993

თბილისი
● ТБИЛИСИ

სარედაქციო კოლეგია: ა. გუნია (რედაქტორი) ო. გამყრელიძე, მ. გველესიანი, გ. თოდუა, თ. ლილუაშვილი, გ. ნადარეიშვილი, ი. ფუტყარაძე, თ. შავგულიძე (რედაქტორის მოადგილე), თ. ჩიკვაძე, (რედაქტორის მოადგილე), ლ. ჩიქავა.

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Гуния А. Л. (редактор), Гамкрелидзе О. К., Гвелесиани М. И., Тодуа Г. С., Лилуашвили Т. С., Надареишвили Г. И., Путкарадзе Я. В., Чикава Л. Л., Чикваидзе Т. Н. (зам. редактора), Шавгулидзе Т. Г. (зам. редактора).

Ответственный секретарь А. Л. Шенгелия.

© „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,
სამართლის სერია, 1993, № 2

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380007, გ. ქიქოძის ქ. № 14
Адрес редакции: Тбилиси, 380007, ул. Г. Кикодзе, 14
ტელეფონი 93-22-60 телефон

გადაცევა წარმოებას 16.7.93; ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.10.93; შექვ. № 934;
ანაწყობის ზომა 7×12; ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 5,95;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,73; ტირაჟი 550

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, დ. გამრეკელის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Д. Гамрекели, 19

*

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, დ. გამრეკელის ქ., 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Д. Гамрекели, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

დ. კიკნაძე, სამართლის ცოდნა და მართლშეგნება	5
ბ. ფერაძე, ანარქისტები ზნეობის შესახებ	13
ა. კვაშილაძე, ლ. კვაშილაძე, პასუხისმგებლობა დანაშაულის ჩადენის მცდელობისა და მომზადებისათვის	24
მ. რობაქიძე, ხულიგნობის კვალიფიკაციის საკითხები სასამართლო პრაქტიკაში	31
ა. სოფთარია, ექიმთა შეცდომების სისხლის სამართლებრივი კვალიფიკაცია, როგორც სამართალდარღვევისა ეგმ-ს არასათანადოდ გამოყენების შედეგად	53
დ. ბარათაშვილი, ადამიანთა უფლებების თვითგამორკვევის მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში	63

СОДЕРЖАНИЕ

Д. Кикнадзе, Знание права и самосознание	5
Г. Ю. Перадзе, Анархисты о нравственности	13
А. К. Квашилава, Л. А. Квашилава, Ответственность за покушение на совершение преступления и приготовление к нему	24
М. Т. Робакидзе, Вопросы квалификации хулиганства в судебной практике	31
А. Г. Хоштария, Уголовно-правовая квалификация врачебных ошибок как правонарушений вследствие ненадлежащего использования ЭВМ	53
Д. Бараташвили, Значение права народов на самоопределение в современных условиях	63

ლიბირი კიკნაძე

სამართლის ცოდნა და მართლშეგნება

სამართლის ცოდნა და მართლშეგნება სამართლის, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმის, სხვადასხვა დონის გამომხატველი ცნებებია. მათ ცნობიერების სხვა ფორმებთან, როგორცაა: პოლიტიკური, ფილოსოფიური, ზნეობრივი, რელიგიური, მხატვრული, ესთეტიკური და ა. შ. მრავალი საერთო და მსგავსი თვისებები აკავშირებს. ამასთან, აქვე ცნობიერების მხოლოდ ამ ფორმის წარმოშობის, განვითარებისა და გამოვლინების სპეციფიკური ფაქტორები და კანონზომიერებანი. მათი სრულყოფილად წვდომა შესაძლებელია მხოლოდ შეგნების ჩამოყალიბებისა და განვითარების საერთო კანონზომიერებათა საფუძველზე.


ადამიანი, ყველა სხვა ცოცხალ არსებათა მსგავსად, ბუნებრივი მოთხოვნილებებითა და მათი დაკმაყოფილების რეფლექსური და ინსტინქტური მექანიზმებით აღჭურვილი იბადება. იგი გარე სამყაროსთან კონტაქტებში შესვლისთანავე იწყებს აქტიურობას, „ბრძოლას არსებობისათვის“. ამ პროცესში სოციალური გარემო ადამიანური ინდივიდის, როგორც ბიოფსიქოსოციალური არსების, უპირველეს მოთხოვნილებას — სიცოცხლის შენარჩუნებისა და არსებობის მოთხოვნილებას, ადამიანურად არსებობის მოთხოვნილებად აქცევს და მას სოციალიზაციის გზით თანდათანობით პიროვნებად აყალიბებს.

ადამიანის აქტიურობა, „ბრძოლა არსებობისათვის“ თვისებრივად განსხვავდება ყველა სხვა არსებათა ბრძოლისაგან, რადგან იგი როგორც ბიოფსიქოსოციალური არსება, მათგან განსხვავებით, მემკვიდრეობით იღებს ბიოლოგიურის გარდა ფსიქოლოგიური და სოციალური განვითარების პოტენციურ უნარს, რომლის სრულყოფის საფუძველზე გარე სამყაროს, არა მარტო იმეცნებს არამედ თავისი ინტერესების შესაბამისად კიდევ გარდაქმნის.

სხვა ცოცხალ არსებებს მართალია შესწევთ მათთვის საინტერესო, მნიშვნელობის მქონე საგნებისა და მოვლენების შეცნობის უნარი, მაგრამ იგი მხოლოდ ინსტინქტური შეცნობის საზღვრებში რჩება. ადამიანი კი ასახავს და იმეცნებს რა გარე სამყაროს საგნებსა და მოვლენებს, უფრო მაღალ საფეხურზე აღის. მათ შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს სწვდება, ცოდნის სისტემას და თვით ცოდნის შესახებ ცოდნას ე. ი. შეგნებას, შინაგან დამოკიდებულებას აყალიბებს. როგორც ცნობილია, შეგნებული დამოკიდებულებები გარე სამყაროს საგნებთან და მოვლენებთან მხოლოდ ადამიანებს ახასიათებთ!¹

საგნებისა და მოვლენების აღქმის, ფიზიოლოგიური დამახსოვრებისა და ცნობის უნარი ცხოველებსაც ახასიათებთ, მაგრამ მათ თავიანთი ცოდნის შესახებ ცოდნა ე. ი. შეგნება არ გააჩნიათ. ისინი უშუალოდ მოცემული გარემოს

¹ შენიშვნა: შეგნებული დამოკიდებულება აერთიანებს ცოდნის ქეშმარიტების შინაგან განცდას, რწმენას და შესაბამისი პრაქტიკული მოქმედების განწყობას.



და ინსტიტუტების ტყვეობაში რჩებიან. ადამიანები კი აზროვნების საშუალებით გარე სამყაროს შეცნობის საფუძველზე, თავიანთ შინაგან იდეალურ სამყაროს აყალიბებენ და გარე სამყაროსთან შეგნებულ დამოკიდებულებებს ამყარებენ.

ვინც ადამიანთა აქტიურობის (მოქმედების, ქცევის, საქმიანობის) და პიროვნების ჩამოყალიბების პრობლემებს იკვლევს ან ვისაც პირდაპირ თუ არა-პირდაპირ საქმე აქვს მათ შეფასებასთან, თითქმის ყველა გრძნობს, რომ ცოდნასა და შესაბამის აქტიურობას შორის პირდაპირი კავშირი არ არსებობს; ცოდნამ მისი სუბიექტის შესაბამისი აქტიურობა (მოქმედება, ქცევა, საქმიანობა) რომ გამოიწვიოს და პრაქტიკულად განხორციელდეს, ამისათვის მან ადამიანის შინაგან სამყაროში სათანადო ცვლილებებისა და განვითარების გარკვეული ეტაპები უნდა გაიაროს და შეგნებად, რწმენად იქცეს. როგორ ხორციელდება ეს ცვლილებები ცოდნის შეგნებად, რწმენის ერთ-ერთ სახედ გადაქცევა, რა კანონზომიერების საფუძველზე წარმოიშვებიან და განვითარების რა ეტაპებს გაივლიან ისინი? აი კითხვები, რომლებზეც დღეს სპეციალისტებს შორის ერთიანი და სრულყოფილი პასუხი არ არსებობს.

მართლშეგნების შესახებ ასევე, დღემდე მრავალი განსხვავებული შეხედულებაა გამოთქმული, რომელთა ავტორები მთელ რიგ არსებით თვისებებზე სწორად ამხავილებენ ყურადღებას. თუმცა მთლიანობაში არცერთი მათგანი მის არსებას სრულყოფილად არ გამოხატავს. მათი კრიტიკული ანალიზი საკმაოდ ვრცლად და დამაჯერებლად თ. შავგულიძეს აქვს მოცემული². ამ მხრივ, ყურადღებას იპყრობს მართლშეგნების შესახებ ე. ა. ლუკაშევას მოსაზრებების კრიტიკა, რომლის მიხედვით მართლშეგნებისათვის, როგორც არსებითი თვისება, დამახასიათებელია უპირველეს ყოვლისა საზოგადოებაში გარკვეული წესრიგის დამყარების აუცილებლობის შეცნობა. ამასთან იგი მჭიდრო კავშირში იმყოფება პოლიტიკურ შეგნებასთან და სხვა³. როგორც სამართლიანად შენიშნავს თ. შავგულიძე, მართლშეგნება, რომელიც საზოგადოებრივი შეგნების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, როგორც წესი, ხასიათდება იმავე ძირითადი ნიშნებით, რითაც — საზოგადოებრივი შეგნება მთლიანად⁴. ამიტომ ე. ა. ლუკაშევას მიერ ხაზგასმული მართლშეგნების არსებითი ნიშნები, როგორიცაა წესრიგის დამყარების აუცილებლობის შეცნობა, და პოლიტიკურ შეგნებასთან მჭიდრო კავშირი, დავას არ იწვევს, მაგრამ ისინი მართლშეგნების ცნებას არ ამოწურავენ. მართლშეგნება არა მხოლოდ პოლიტიკურ შეგნებასთანაა მჭიდრო კავშირში, არამედ პიროვნების შეგნების ყველა სახესთან, რომლებიც მთლიანობაში ერთიანი სუბიექტის მსოფლმხედველობას განასახიერებენ.

გ. ი. კამინსკაია და ა. რ. რატინოვი ყურადღებას ამხავილებენ მართლშეგნების ისეთ თვისებებსა და ფუნქციებზე, როგორიცაა: სამართლებრივი სინამდვილის ასახვა იურიდიული ცოდნის ფორმაში, შეფასებითი დამოკიდებულება სამართლისა და მისი გამოყენების პრაქტიკისადმი, სამართლებრივი განწყობები და ღირებულებითი ორიენტაციები, რომლებიც აწესრიგებენ ადამიანურ ქცევას იურიდიული მნიშვნელობის ვითარებაში⁵.

² თ. შავგულიძე, „საზოგადოებრივი აზრი, მართლშეგნება და მოსწავლე ახალგაზრდობა“. 1981 წ. და „საზოგადოებრივი აზრი და მართლშეგნება დინამიკაში“. თბილისი, 1990 წ.

³ დასახ. ნაშრომი, გვ. 72—73.

⁴ იქვე, გვ. 72.

⁵ იქვე, გვ. 74.

აღნიშნული თვისებები მართალია კიდევ უფრო ამდიდრებენ მართლმეცნების ცნებას, ისეთი არსებითი თვისებებით როგორცაა შემეცნებითი და შეფასებითი დამოკიდებულებები, ღირებულებითი ორიენტაციები, განწყობები და სხვა, მაგრამ საბოლოოდ ვერც ეს განსაზღვრება აერთიანებს მის ყველა არსებით ნიშანს და თვისებებს.

ვ. ი. კულდრიავცევის აზრით, მართლმეცნება სუბიექტის ქცევას არაპირდაპირ განსაზღვრავს. თუ იგი სწორად ასახავს სამართლის შინაარსს, სტიმულს აძლევს მას სამართლის დაცვის მიმართულებით. ქცევის მოდელი, რომელსაც სუბიექტი თავისთვის წარმოიდგენს, ვ კულდრიავცევის გაგებით, მართლმეცნების არაპირდაპირი პროდუქტია. ეს მოდელი შექმნილია არა მხოლოდ ნორმებისა და სამართალურთიერთობებით, რომელშიც ეს სუბიექტი მონაწილეობს, არამედ ოთხი შემადგენელის: ნორმების, სამართალურთიერთობის, სამართლებრივი ცოდნისა და სუბიექტის ღირებულებითი წარმოდგენების ურთიერთხემოქმედებით⁶.

აღნიშნული პოზიციისაგან არსებითად განსხვავებულ შეხედულებას იცავს თ. შავგულიძე. მისი აზრით, სადაც მართლმეცნება არსებობს იგი არაპირდაპირ კი არა, როგორც ვ. კულდრიავცევი ამტკიცებს, არამედ პირდაპირ განსაზღვრავს ქცევის, როგორც მოდელს ისე მის პრაქტიკულ განხორციელებას, რადგან მისთვის მართლმეცნება სამართლის ნორმების მოთხოვნებისადმი რწმენაა, შესაბამისი ქცევის შინაგანი მზაობაა, ფიქსირებული სოციალური განწყობაა. რაც შეეხება ვ. კულდრიავცევის მიერ აღნიშნულ ოთხ შემადგენელს და მათ ურთიერთხემოქმედებას, ისინი თავის დროზე, რა თქმა უნდა, მონაწილეობენ მართლმეცნების ჩამოყალიბებაში, როგორც მისი მოტივაციის ფაქტორები, მაგრამ არც ერთად და არც ცალ-ცალკე მართლმეცნების არსებას სრულყოფილად არ გამოხატავენ.

სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის სახელმძღვანელოში მოცემული განსაზღვრების მიხედვით, მართლმეცნება არის „სამართლისადმი ადამიანთა დამოკიდებულებების გამომხატველი შეხედულებებისა და რწმენის ერთობლიობა“⁷.

ეს განსაზღვრება სხვა განსაზღვრებებთან შედარებით უპირატესობით გამოირჩევა იმ მხრივ, რომ მართლმეცნება დაკავშირებულია რწმენასთან და დამოკიდებულებასთან, მაგრამ მთლიანობაში იგი არაზუსტი და მიუღებელია. იგი არაზუსტი და მიუღებელია იმის გამო, რომ მართლმეცნება შეხედულებებისა და რწმენის ერთობლიობადაა მიჩნეული, მაშინ როდესაც: ჯერ ერთი, შეხედულებები სინამდვილის ასახვის სრულიად სხვა, ბევრად დაბალი დონეა და მართლმეცნების განსაზღვრებისათვის თუნდაც რწმენასთან ერთად ვერ გამოდგება; მეორეც, მეცნება რაიმეს ჯამი ან ერთობლიობა არ შეიძლება იყოს. იგი შეიძლება იყოს მხოლოდ მისი სუბიექტის როგორც ერთიანის დამახასიათებელი ატრიბუტი.

✓ მართლმეცნების ცნებამ სრულყოფილი ასახვა და ზუსტი განსაზღვრება ვერც იურიდიულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში ჰპოვა. მართლმეცნება, — ვკითხულობთ ლექსიკონში, — მოიცავს მოქმედი სამართლის ცოდნას, მის ძირითად პრინციპებს და მოთხოვნებს, მაგრამ მათზე არ დაიყვანება; მართლ-

⁶ ვ. კულდრიავცევი, სამართალი და ქცევა, მ., 1978 წ., გვ. 69.

⁷ სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, მ., 1962 წ., გვ. 372.

შეგნებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია შეფასებითი მომენტი და ყოფა-ქცევითი განწყობები⁸.

ყველა ავტორი ვინც მართლშეგნებას ეხება, როგორც ვხედავთ, სხვადასხვა არსებით თვისებებზე მიაწინებენ და ხელს უწყობენ განსაზღვრების თანდათანობით სრულყოფას. მიუხედავად ამისა, თითოეული მათგანი არც ცალ-ცალკე და არც ერთად აღებული, როგორც აღვნიშნეთ, მართლშეგნების არსებას სრულყოფილად ვერ გამოხატავენ.

მართლშეგნების შედარებით სრულყოფილი დახასიათება და განსაზღვრება, ვფიქრობთ, თ. შავგულიძის მიერაა მოცემული, რომელიც მან ჯერ კიდევ 1981 წელს ჩამოაყალიბა. მისი აზრით: „მართლშეგნება, რომელიც ადამიანის სოციალიზაციის და სამართლებრივი აღზრდის კვლობაზე იქმნება, არ არის მხოლოდ სამართლებრივი ნორმებისა და მათგან გამომდინარე თუ მათზე დამყარებული ურთიერთობის ცოდნა და აგრეთვე ამ სფეროში მიღებული გამოცდილება. იგი წარმოადგენს სამართლებრივ ღირებულებათა მთელ სისტემას, ქცევის შაბლონების წინასწარ გამომუშავებას სამართლებრივი მნიშვნელობის სიტუაციისათვის და, რაც მთავარია, დამოკიდებულებას სამართლებრივი მნიშვნელობის გარკვეული მოქმედებისადმი. მართლშეგნება არის მზაობა კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად“⁹. უფრო კონკრეტულად „მართლშეგნება წმინდა სუბიექტური ფენომენია, ის წარმოადგენს ადამიანის შინაგან რწმენას, მის მზაობას შესარულოს სამართლის ნორმების მოთხოვნები“¹⁰. ან კიდევ „მართლშეგნება აგრეთვე წარმოადგენს ფიქსირებულ სოციალურ განწყობას“¹¹.

ამრიგად, თ. შავგულიძის აზრით, მართლშეგნება არის სამართლის მოთხოვნების განხორციელების აუცილებლობის შინაგანი რწმენა, შესაბამისი ქცევის მზაობა, განწყობა. თუ სრულყოფილად გავითვალისწინებთ რწმენისა და განწყობის არსებას და ადგილს ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიურ მექანიზმში, ეს განსაზღვრება მართლშეგნების დღემდე არსებული განსაზღვრებებიდან, ვფიქრობთ, ყველაზე სრულყოფილი და ზუსტია. იგი გაკეთებულია უახლოესი გვარისა და სახეობითი განსხვავების, სპეციფიკური ნიშნის მიხედვით. მართლშეგნების უახლოესი გვარია რწმენა, ხოლო სახეობის არსებითი ნიშანი, რაც მას რწმენის სხვა სახეებისაგან განასხვავებს, — სამართლის ნორმების ცოდნა, მისი მოთხოვნების განხორციელების აუცილებლობის გაცნა, შეგნება და შესაბამისი მოქმედების, ქცევის შინაგანი მზაობა. მართლშეგნების ასეთ გაგებაში იგულისხმება, რომ იგი მოტივაციის პროცესის შედეგად ჩამოყალიბებული ფენომენია. მართლშეგნების ასეთი გაგებით ავტორმა, პირველად, საერთოდ, რწმენის ერთ-ერთი სპეციფიკური და ამასთან, უმაღლესი სახე — შეგნებული რწმენის სახე გამოკვეთა, რომელიც სამართლის ნორმების მოთხოვნების ცოდნისა და მისი შეგნების საფუძველზე ყალიბდება. ამ განსაზღვრების სიზუსტე და მნიშვნელობა რომ უფრო ნათელი გახდეს საჭიროა მართლშეგნება როგორც რწმენის ერთ-ერთი სახე, როგორც შეგნებული რწმენა განვიხილოთ რწმენის სხვა სახეებთან კავშირში.

⁸ იურიდიული ენციკლოპედიური ლექსიკონი. მ., 1984 წ., გვ. 279.

⁹ თ. შავგულიძე, საზოგადოებრივი აზრი, მართლშეგნება და მოსწავლე ახალგაზრდობა, 1981 წ., გვ. 9-5.

¹⁰ თ. შავგულიძე, გ. ლეჟავა, საზოგადოებრივი აზრი და მართლშეგნება დინამიკაში, თბ., 1990 წ., გვ. 115—116.

¹¹ იქვე, გვ. 79.

გარემოს ზემოქმედებისა და მიზნობრივი აღზრდის შედეგად ადამიანი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე უამრავ შთაბეჭდილებებს იძენს, რომელთა გონებაში გადამუშავების შედეგად მას ობიექტური საგნებისა და მოვლენათა შესახებ ცოდნის გარკვეული სისტემა უყალიბდება. **ცოდნის სისტემის შესაბამისად მოქმედება ადამიანს, მხოლოდ მისი შეგნებულ რწმენად გადაქცევის შემთხვევაში შეუძლია.** ადამიანი შეძენილ ცოდნას თუ როგორ გამოიყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში, ეს ცოდნის შეგნებით, მისი შინაარსისადმი სუბიექტის რწმენით, შინაგანი დამოკიდებულებით განისაზღვრება.

წარმოშობის მიხედვით შეიძლება განვასხვავოთ რწმენის სამი სახე: პრიმიტიული, ავტორიტარული და შეგნებული რწმენა. მათ შორის, პრიმიტიული რწმენა ყოველდღიური ცხოვრებისეული პრაქტიკის საფუძველზე ყალიბდება. ავტორიტარულ რწმენას ვინმეს — მაგალითად, ღმერთის, პატიოსანი და მართალი ადამიანის, დიდი მეცნიერის, ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის და ა. შ. ავტორიტეტი წარმოშობს. შეგნებული რწმენა კი, რაიმეს შესახებ მხოლოდ დასაბუთებული ცოდნის შეგნების და მისი ჭეშმარიტების განცდის საფუძველზე წარმოიშობა.

მართლმეცნება შეგნებული რწმენის ერთ-ერთი სახეა. იგი სამართლის ნორმების მოთხოვნებისადმი ადამიანთა დამოკიდებულებას გამოხატავს.

რწმენა, საერთოდ, ადამიანის ნებისმიერი აქტიურობის აღმძვრელი და მიმართულების მიმცემი უზენაესი ძალაა. ადამიანის ყოველ მოქმედებას თან ახლავს რწმენა მოცემულ სიტუაციაში ამ მოქმედების მიზანშეწონილობისა და აუცილებლობის შესახებ, მიუხედავად იმისა არის თუ არა იგი ობიექტურად აუცილებელი და მიზანშეწონილი. რწმენა ადაგზნებს ადამიანს დიდი საგმირო საქმეებისათვის, ასევე რწმენა ზღის მას საზოგადოებისათვის მავნე და უსარგებლო ადამიანად. ამიტომაც რწმენის არსების სწორად შეცნობას, მისი წარმომშობი ფაქტორებისა და კანონზომიერებათა გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აღზრდისა და საერთოდ სოციალური პროცესების მართვის თეორიასა და პრაქტიკაში. მიუხედავად ამისა რწმენა ადამიანის შესახებ მეცნიერებათა კომპლექსური პრობლემებიდან დღემდე ერთ-ერთი ყველაზე დაუმუშავებელი და შეუსწავლელი პრობლემაა. მაშინ როცა ცნობილია, რომ: „რწმენას იგივე ძალა აქვს რაც აუცილებლობას“ (გორგია), „თუ რწმენა იქცნებათ და არ დაეჭვდებით... მთასაც რომ უთხრათ, აიწიე და ზღვაში ჩავარდიო — ასეც იქნება“ (მათე 21, 21). „ყველა ფლობს შესაფერ ძალას რათა განახორციელოს ის, რაც სწამს“ (გოეთე) და სხვა მრავალი, რაც რწმენის უზენაესობას ამტკიცებს.

ცოდნა, როგორც ცნობილია ობიექტური სინამდვილის ასახვის შედეგად ყალიბდება. იგი ყალიბდება, როგორც ოფიციალური განათლების ისე საკუთარი გამოცდილებისა და ინფორმაციის სხვა უამრავი წყაროების საშუალებით. **ცოდნა მონაწილეობას ღებულობს გარემოსთან პრაქტიკული ურთიერთობის მოტივაციის პროცესში, მაგრამ თუ როგორ იმოქმედებს ადამიანი ეს მხოლოდ ცოდნაზე არ არის დამოკიდებული. ამას განსაზღვრავს არა ცოდნა თავისთავად, არამედ სუბიექტის შეგნება, შინაგანი დამოკიდებულება ცოდნაში მოცემული შინაარსისადმი, რაც შეგნებული რწმენის სახით მოტივაციის პროცესის შედეგად ყალიბდება.** ამ პროცესში ცოდნის გარდა მონაწილეობას ღებულობენ სხვა მრავალი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები.

ადამიანთა, როგორც სამართლებრივი ისე ყოველგვარი მიზანდასახული,

შეგნებული აღზრდა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ცოდნის შეგნებად, შეგნებულ რწმენად გადაქცევის გზით, რაც ამასთან შინაგანი აქტიური პოზიციის, დამოკიდებულების ჩამოყალიბებას გულისხმობს.

მხოლოდ ცოდნის შეძენა, განათლება რომ შესაბამის აღზრდას არ ნიშნავს ეს ყველასათვის ნათელია. მაგალითად, ბევრმა დამნაშავემ ძალიან კარგად იცის, რომ სხვისი ქონების ან სიცოცხლის ხელყოფა, მექრთამეობა და სხვა, საზოგადოებრივი დანაშაულია, მაგრამ ეს ცოდნა მათ ხელს არ უშლის ამ სახის დანაშაულის ჩადენაში. ეს იმის შედეგად ხდება, რომ ამ ადამიანებს ცოდნა კი აქვთ სამართლებრივი ნორმების მოთხოვნების შესახებ, მაგრამ მათი ცოდნა გადაქცეული არ არის შეგნებად, რწმენად და დამოკიდებულებად. ამით აიხსნება უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სპეციალისტების, სამწუხაროდ, ზოგჯერ, თვით სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების მიერ ჩადენილი დანაშაულის ფაქტები.

ადამიანს, რომელსაც მიღებული აქვს იურიდიული ცოდნა, განათლება და კარგად ერკვევა სამართლის ნორმების მოთხოვნებში, მაგრამ შესაბამისი შეგნება არ აქვს ჩამოყალიბებული, უფრო მეტი ზიანის მიყენება შეუძლია საზოგადოებისათვის, ვიდრე იურიდიულად გაუნათლებელ, უცოდინარ ადამიანს. ამიტომ სამართლებრივი აღზრდის თეორიასა და პრაქტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მართლშეგნების როლისა და ადგილის სწორად განსაზღვრას, მისი ჩამოყალიბების მეთოდებისა და გზების მეცნიერულ დამუშავებას. აქედან გამომდინარე, სწავლებასა და ცოდნის მიცემასთან ერთად, შესაბამისი შეგნების, რწმენის ჩამოყალიბება განათლების მთელი სისტემის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი, არსებითი პრობლემაა. რაც დღეისათვის სამწუხაროდ არა თუ გადაწყვეტილი, არამედ სრულყოფილად შეფასებულიც არ არის, როგორც განათლების სისტემის მთავარი პრობლემა.

შეგნებული რწმენის ჩამოყალიბებას ვარდა ცოდნისა მრავალი სხვა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორი განაპირობებს. მისი წარმოშობა საბოლოოდ დაკავშირებულია მოტივაციის პროცესთან. **მოტივის წარმოშობა ნიშნავს მოცემულ სიტუაციაში ამ და არა სხვა მოქმედების აუცილებლობის შეგნების, რწმენის წარმოშობას. ამასთან მოტივაციის თითოეული ფაქტორი გარკვეული რწმენით ხასიათდება, რომლებიც მონაწილეობენ და წამყვან როლს თამაშობენ პრობლემურ სიტუაციაში შესაბამისი მოქმედების მოტივის, შეგნებული რწმენის ჩამოყალიბებაში.**

შეგნებული რწმენა, მიუხედავად იმისა, რომ მოტივაციის პროცესში მონაწილე სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთზემოქმედების შედეგია, მაინც სუბიექტურ მოვლენად ითვლება. მისი სუბიექტი შეიძლება იყოს ინდივიდი, პიროვნება, კოლექტივი, სოციალური ჯგუფი, საზოგადოება და ა. შ., ხოლო ობიექტი — სუბიექტის ცნობიერებაში ასახული ყოველი საგანი და მოვლენა, პოლიტიკური, სამართლებრივი, ზნეობრივი, ფილოსოფიური, რელიგიური, პედაგოგიური და სხვა ცოდნის შინაარსი.

შეგნებული რწმენა მოქმედების სუბიექტისა და ობიექტის შემაერთებელი ხილია, რომლის ბურჯებს საბოლოოდ მოთხოვნილებები და ინტერესები წარმოადგენენ.

შეგნებული რწმენა არ არსებობს ცნობიერების გარეშე, ამიტომ რწმენის რაობის გარკვევისათვის აუცილებელია იგი განხილულ იქნას ცნობიერებასთან კავშირში.

ცნობიერება, როგორც ცნობილია, სინამდვილის ასახვის უმაღლესი ფორმაა. მის შინაარსს ქმნის სინამდვილის გრძობადი აღქმა და აზროვნება. მათი ურთიერთშემოქმედება ადამიანის შინაგან იდეალურ სამყაროს აყალიბებს. თავის მხრივ, ადამიანის შინაგანი სამყარო, ცნობიერება ორ არსებითად განსხვავებულ დონეს — ცოდნისა და შეგნების დონეებს მოიცავს. ხშირად მათ აიგივებენ, რაც სერიოზული შეცდომაა. სინამდვილეში, ცოდნა რაიმეს შესახებ სხვა და სხვა ცნობების, ინფორმაციების გარკვეული სისტემაა. ხოლო შეგნება ცოდნის არსში წვდომა, მისი ჭეშმარიტების შინაგანი განცდა, რწმენა და შესაბამისი აუცილებლობისადმი პრაქტიკული დამოკიდებულებაა.

ყველი შეგნება ამასთან ცოდნაცაა, ცნობიერების შინაარსია, მაგრამ ყოველი ცოდნა შეგნება არ არის, ადამიანის აღზრდა საბოლოოდ შესაბამისი შეგნების ჩამოყალიბებას ნიშნავს. ადამიანი შეიძლება სამართლებრივად, ზნეობრივად და სხვა, განათლებული იყოს, ზეპირად იცოდეს სამართლისა და ზნეობის ნორმების მოთხოვნები, მაგრამ შესაბამისად აღზრდილი არ იყოს და იგივე ნორმებს პრაქტიკულად თითონვე არღვევდეს.

ანალოგიურ ფაქტებს ადგილი აქვს ცოდნის ყველა სფეროში, მათ შორის პროფესიული განათლების სფეროშიც. ეს ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებს ცოდნის შეგნებად, რწმენად გადაქცევის მექანიზმისა და კანონზომიერებათა მეცნიერულად დამუშავების უდიდეს მნიშვნელობას.

ადამიანები თავიანთი სიცოცხლის მანძილზე უამრავ ცოდნასა და შეგნებულ რწმენას აყალიბებენ ბუნებისა და საზოგადოების ცალკეული საგნებისა და მოვლენების შესახებ. ყველა მათგანი მოტივაციის საშუალებით თანდათანობით შინაგანად ერთიანდებიან და გარკვეული სისტემის სახით ყალიბდებიან. ეს პროცესი კი საბოლოოდ საფუძვლად ედება მთლიანი პიროვნების ჩამოყალიბებას.

თეორიული ცოდნის შეგნებულ რწმენად გადაქცევაში გადაწყვეტი როლი პრაქტიკას ეკუთვნის. ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება, როგორც ცნობილია, არსებითად პრაქტიკულია და ყოველი წარმატება თუ წარუმატებლობა ადამიანთა აღზრდისა და სოციალური პროცესების მართვის სისტემაში თავის ახსნასა და დადასტურებას პრაქტიკაში პოულობს.

ცოდნასა და შეგნებას, შეგნებულ რწმენას შორის ის არსებითი განსხვავებაა, რომ ცოდნა თეორიის სფეროს ეკუთვნის, ხოლო შეგნებული რწმენა — პრაქტიკის სფეროს, პრაქტიკულ მოქმედებას საბოლოოდ აღძრავს და წარმართავს არა ცოდნა, არამედ მოქმედების მოტივაციის შედეგად წარმოშობილი შეგნება, რწმენა და შესაბამისი დამოკიდებულება, მის ჩამოყალიბებაში, რა თქმა უნდა, როგორც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, ცოდნაც მონაწილეობს.

შეგნებული რწმენა ცოდნის საფუძველზე განხორციელებული მოტივაციის შედეგია. იგი როგორც მოტივი საფუძვლად ედება ადამიანთა აქტიურ დამოკიდებულებას გარე სამყაროს საგნებთან და მოვლენებთან. სამართლებრივი ურთიერთობებისა და საერთოდ ყოველგვარი ურთიერთობების სფეროში შეგნებული რწმენის ჩამოყალიბება აქტიური და თავისუფალი ნებისყოფის მქონე პიროვნებათა აღზრდის ყველაზე პროგრესული და ჰუმანური საშუალებაა.

სამართლებრივი ურთიერთობებისა და საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ადამიანთა ყოველგვარ აქტიურობას ყოველთვის რაიმე მოთხოვნილება და მისი დაკმაყოფილების მნიშვნელობა, ინტერესი აღძრავს, ხოლო მიმართულებას მას მოტივაციის პროცესში მონაწილე სუბიექტური და

ობიექტური ფაქტორები აძლევენ. ამ პროცესში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ ისეთი ძირითადი ფაქტორები, როგორცაა მოქმედებისა და მისი შედეგების მნიშვნელობის ცოდნა და შეგნება.

სამოტივაციო მოქმედების ფაქტორთა ცოდნისა და შეგნების საფუძველზე ხორციელდება მათი ურთიერთშემოქმედება, რომლის შედეგად ყალიბდება მოცემულ სიტუაციაში ამ და არა სხვა მოქმედების აუცილებლობის შეგნება, რწმენა, რომელსაც შემდეგ აუცილებლობით მოჰყვება შინაგანი მოქმედების შემდგომი ეტაპები — გადაწყვეტილების მიღება, განწყობის ჩამოყალიბება და ბოლოს შესაბამისი პრაქტიკული მოქმედება.

ამრიგად, სამართლის ცოდნა და მართლშეგნება სამართლებრივი ცნობიერების განვითარების ორ თვისებრივად განსხვავებულ დონეს გამოხატავენ. მათ შორის სამართლის ცოდნა არის სამართლის ნორმებისა და მისი მოთხოვნების შესახებ სხვადასხვა ცნობების, ინფორმაციების სისტემა, ხოლო მართლშეგნება — სამართლის ცოდნის არსში წვდომა, მისი ჭეშმარიტების შინაგანი განცდა, რწმენა და შესაბამისი აუცილებლობისადმი პრაქტიკული დამოკიდებულება.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრიმინოლოგიის განყოფილებასთან არსებულმა ფსიქოლოგიის სექტორმა

ზოგა შვარამი

ანარქისტები წინაშე უმისაზრობის შესახებ

ანარქისტთა დამოკიდებულება სახელმწიფოსთან, კანონთან მიმართებაში, როგორც ადამიანის პიროვნული თუ შემოქმედებითი თავისუფლების დამტრუნველი ინსტიტუტებისადმი, საყოველთაოდ ცნობილია. „ღმერთი და ეშმაკი, — წერდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და არანაკლებ ცნობილი ანარქისტი, მ. წერეთელი, სამოთხე და ჯოჯოხეთი, საკუთრება, მთავრობა, „წესიერება“, სახელმწიფო და კანონი და მრავალი ამგვარი ცნებანი, ურომლისოდაც საზოგადოება დაიღუპებოდა ან ანარქიის ჯოჯოხეთში ჩაესვენებოდა საუკუნოდ — აი რითი აქვთ შერყენილი ცონება და დაჩლუნგებული გული... არა თუ ადამიანთა იმ ძლიერ საინტერესო სერიას, რომელიც იწყება განსწავლული იურისტებით და თავდება თვეში თუმნად მომსახურე ჯამუშებით — არამედ ბევრ, მრავლის უმრავლეს უბრალო ადამიანთაც, რომელნიც მონობაში აღიზარდნენ“ .და რომელთაც ქართველი ანარქისტის სიტყვებით რომ ვთქვათ: „სამარადისოდ იკურთხეს თავიანთი ტვინი ამ ცნებათაგან დამდგარ წუმბის სქელი წყლით“, „მირონით“, რომელსაც მხოლოდ ანარქისტთა გონება გადაურჩა და ერთადერთი ხმაძარებელი ქადაგებს კანონის უაზრობას!

მოტანილი ციტატა ვფიქრობთ კომენტარს არ საჭიროებს იმდენად ნათელი ავტორის დამოკიდებულება, როგორც სახელმწიფოს, ისე კანონისადმი. მსგავსი გამოვლენები ანარქისტთა მხრიდან არ წარმოადგენენ გამოწვევას. პირიქით, შეიძლება ითქვას, ისინი არ კარგავდნენ არც ერთ ხელსაყრელ წუთს (შესაძლებლობას), რათა საჯაროდ, ზოგჯერ მეტად მოულოდნელი ფორმითაც კი გამოეხატათ საკუთარი განწყობილება, ისევე როგორც გარკვეულ წილად ეს შეიძლება ითქვას იმ ადამიანებზე, ვინც წერდნენ ანარქიზმის შესახებ. თითქმის არ გამოთქმულა არც ერთი მოსაზრება, რომ მასში აქცენტები არ ყოფილიყო გაკეთებული სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ ანარქისტთა უარყოფით დამოკიდებულებაზე*.

ზემოთ თქმულში ახალი არაფერია, ისევე როგორც ყველგან, ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ბრძოლასთან ორ დაპირისპირებულ იდეას შორის, მით უფრო, რომ ბრძოლა არ დაწყებულია არც იდეას და არც გულში, არამედ მიმდინარეობს ჯერ კიდევ ოვიდუსისა და ზენონის დროიდან, მაგრამ ჩვენთვის იგი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ანარქიზმის, როგორც მომხრეების ისე მოწინააღმდეგეების ყურადღება გადატანილი იყო საკითხის წარმოჩენისაკენ სწორედ ამ კუთხით: ანარქიზმი და სახელმწიფო, ანარქიზმი და კანონი. თვით ფრანგულ სიტყვათა 1985 წ. გამოცემულ განმარტებით ლექსიკონშიც კი, სი-

1 მ. წერეთელი, „კანონი“, გვ. 3.
* სამართალი ამ შემთხვევაში გაგებულია სახელმწიფოში მოქმედი ნორმატიული აქტების სახით.

ტყვა „ანარქიზმი“ გადმოცემულია როგორც პოლიტიკური კონცეფცია, რომელიც ორიენტაციას აკეთებს სახელმწიფოს გაუქმებაზე და საზოგადოების განთავისუფლებაზე ყოველგვარი ხელისუფლებისაგან, რომელიც იტოვებს ძალდატანების უფლებას ინდივიდთან მიმართებაში“ (გვ. 351) სავარაუდოა, ეს გარემოება გახდა მიზეზი, რომ შედარებით ნაკლები ითქვა და მით უფრო დაიწერა ანარქისტთა დამოკიდებულებაზე ჩვეულებისაღმი, საზოგადოებისა თუ საზოგადოებრივი აზრისაღმი — მთელი რიგი საკითხებისაღმი, რომელნიც არამც თუ საინტერესონი არიან თავისთავად, არამედ შეიძლება ითქვას მოსამზადებელ საფეხურსაც კი წარმოადგენენ იმ მეტად მრავალფეროვანი, და რაც მთავარია, თვითმყოფადი იდეების გასაგებად, რომლებითაც გადაჭარბება არ იქნება თუ ვიტყვით, გალადებულიც კია მკვლევარ-ანარქისტთა პოლიტიკურ თუ სამართლებრივ შეხედულებებზე მუშაობისას.

ამყამად საუბარი გვექნება ანარქისტთა დამოკიდებულებაზე ზნეობისაღმი, რომელიც არასდროს არ ყოფილა ერთგვაროვანი და ამდენად მდიდარია მეტად საინტერესო არგუმენტაციით ზნეობრივი ნორმების როგორც დასაცავად, ისე უარსაყოფად.

უპირველეს ყოვლისა თვითონ ცნებებზე: ზნეობა და ანარქიზმი, რამდენად გამართლებულია მათი გვერდიგვერდ მოთავსება, რომ აღარაფერი ვთქვათ „ზნეობრივ ანარქიზმზე“. თუკი საკითხს შევხვდავთ ისე როგორც ეს მაგალითად წლების მანძილზე წარმოჩენილი იყო საბჭოთა ლიტერატურაში თუნდაც იმავე 70-იანი წლების ამერიკელი ახალგაზრდობის მოანარქისტო ლიდერის ვინმე ჯერი რუბინსის მაგალითზე და გამოვალთ იმ დროს საბჭოთა კავშირში ოფიციალურად არსებული ზნეობრივი კრიტერიუმებიდან, მაშინ ასეთ კავშირზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, ვინაიდან, ამერიკელი ანარქისტის აზრით, ყოვლად დაუშვებელია აიძულო ადამიანი იპარსოს წვერი და თმა ყოველგვარი უფლად, მიიღოს ძილის წინ აბაზანა, არ ილაპარაკოს უწმინაფერი სიტყვები, არ დათვრეს ლუდით, არ მიიღოს ფსიქოდელიტიკური ნარკოტიკები, არ იცეკვოს როკი, არ ჩაიცვას მინი-კაბა, არ უყუროს ჰოლივუდის ფილმებს და არ იკითხოს აკრძალული ლიტერატურა². ყოველივე ზემოაღნიშნული კი გამონაკლისების გარეშე მიიკუთვნებოდა, როგორც მ. წერეთელი იტყოდა, „ცუდი კაცის“ დამახასიათებელ თვისებებს³. და ამდენად ჯერი რუბინსისა და მისი მსგავსი ადამიანების ზნეობაზე ლაპარაკი უაზრობადაც კი იყო მიჩნეული. უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეეხებოდა არა მხოლოდ ერთ ამერიკელ ანარქისტს, არამედ ასეთი იყო ანარქისტის ტიპიური პორტრეტი, რომელიც წლების მანძილზე იხატებოდა ჩვენს ლიტერატურაში.

ბუნებრივია იბადება კითხვა: მართლაც ასეთი ადვილი გადასაწყვეტია ანარქისტების ზნეობისაღმი დამოკიდებულების საკითხი? თავისთავად ის ფაქტი, რომ ერთი ან რამდენიმე ავტორიტეტული პიროვნება, თუნდაც მეცნიერი, აღიარებს ამათუიმ მოვლენას ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ საკითხის ირგვლივ კვლევის დასრულებას, ჭეშმარიტების დადგენას. ეს რომ ასე იყოს, მაშინ რა უნდა გვეთქვა ისეთი ავტორიტეტის მქონე მეცნიერის შეხედულებებზე, როგორც ბ. ჩიჩერინი იყო, რომელსაც არამცთუ ანარქიზმი, არამედ მთელი სოციალიზმი მიაჩნდა ფანატიზმად შეერთებულად სრულ უგუნურებასთან, სადაც იშლება

² П р о н я к и н Д. „Анархизм исторических претензий и уроки истории“, с. 22.

³ მ. წერეთელი, კანონი, გვ. 86.

ყოველგვარი კვალი გონებრივი და ზნეობრივი განვითარების; ადამიანი კი ემსგავსება სისხლს დაწყურებულ ნადირს, რომელიც ანადგურებს ყველაფერს რაც ხელში მოყვება!“⁴.

ანდა რა უნდა გვეთქვა საზღვარგარეთის ცნობილი უნივერსიტეტებისა თუ უმაღლესი სასწავლებლების მრავალმილიონიანი ტირაჟით გამოცემულ ისტორიის სახელმძღვანელოებზე, რომლებშიც რუსი ბოლშევიკები „ანარქისტი ბაკუნინის ექსტრემისტული თეორიისა და ნიჰილისტი წამქეზებლების სერგეი ნეჩაევის, პეტრე ლავროვის მემკვიდრეებად არიან მოხსენიებულნი“. ხოლო ბოლშევიკების მიერ ანარქიზმთა „ზნეობის ჰიმნად“ მონათლული „რევოლუციონერის კატეხიზისი“ უცვლელ სათავედ ლენინის ბოლო პერიოდის ყველა წამოწყებისა, ბელადისა, რომელიც მათი შეფასებით „ერთგული მიმდევარი იყო და ასეთად დარჩა ნეჩაევის ზნეობრივი კონცეფციისა“⁵.

მაშ სად არის ზნეობა და სად უზნეობა? ვფიქრობთ ერთადერთი მიუხეობილი მსაჯული ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს დრო, რომლისთვისაც მიუწვდენელი და უხილავი არაფერია, თვით ყველაზე რთულ საკითხზეც კი მას აუცილებლად გამოაქვს თავისი უტყუარი განაჩენი, რომელიც საბოლოოა და როგორც იტყოდა კანონმდებელი გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

აღნიშნულის დადასტურებად მიგვაჩნია ზნეობრივ ღირებულებათა ის გადაფასება, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ცხოვრებაში უკანასკნელი 10—15 წლის განმავლობაში. დღეს მაგალითად სასაცილოდაც არავის ეყოფა ის, რომ ადამიანის ზნეობაზე იმსჯელონ მისი წვერისა თუ თმის სიგრძის მიხედვით, (მით უმეტეს საქართველოში), ანდა იმის მიხედვით თუ რა სახის მუსიკას უსმენს იგი თავისუფალ დროს და რა სახის ფილმებს უყურებს მეგობართა წრეში. დღეს ჰოლივუდის ფილმების მთელი რიგი ფესტივალები იმართება, მაშინ როდესაც არც თუ შორეულ წარსულში მათ „ზნეობის გამხრწნელთა“ კატეგორიას მიაკუთვნებდნენ თავისი როგორც ფორმით ისე შინაარსით. და ეს ყველაფერი, სამწუხაროდ ხშირად, სწორედ ისეთ დამახინჯებულ სახეს ღებულობდა, როგორც ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში (1907 წ.) იწინასწარმეტყველა მ. წერეთელმა, კოლექტივისტების მიერ გახსორციელებული სოციალიზმის შესახებ: „ჟანდარმი ლაბორატორიაში, ჯაშუში ლიტერატურის კაბინეტში „რომ საზოგადოებრივი ინტერესების“ წინააღმდეგ არავინ დასწეროს რამე. ჯალათი სკულპტორს, რომელმაც „საზოგადო ზნეობა შელახა“ და სხვა⁶. აი სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით მიგვაჩნია ჩვენ მიზანშეწონილად საუბარი ანარქისტთა ზნეობაზე, მით უმეტეს, რომ მათ შორის იყვნენ ისეთი პიროვნებები, ჩვენ მხედველობაში გვყავს პ. კროპოტკინი, ლ. ტოლსტოი, ვ. ჩერქეზიშვილი, რომელთა ზნეობრივ ღირსებაში ეჭვის შეტანა, ყოფილ საბჭოთა კავშირში მოქმედი ზნეობრივი კოდექსის მიხედვითაც კი, გაჭირდებოდა (რასაკვირველია თუ მხედველობაში არ მივიღებთ წვერსა და თმას).

ამ შემთხვევაში შეიძლება დაიბადოს კითხვა: პ. კროპოტკინი, ვ. ჩერქეზიშვილი გასაგებია, მაგრამ შტირნერი? რა მოვუხერხოთ ამ „ეგოიზმის მეხოტ-

⁴ Из истории русской правовой мысли „власть и право“ М. 1990, с. 82.

* მსგავს შეხედულებას გამოთქვამდა ანარქიზმთან დაკავშირებით ნ. ნიკოლაძე. ურნალი „მოამბე“, 1894 წ., № 8.

⁵ Володин А. И. „Чернышевский или Нечаев“, М., 1976, с. 9.

⁶ მ. წერეთელი, „კანონი“, გვ. 78.

ბეს“, რომლისთვისაც არ არსებობდა არავითარი წმინდა გარდა ეგოისტის პირადი მისწრაფებისა, საკუთარი კეთილდღეობისა, რომლისთვისაც თვით ნერონიც კი, ეს „პირისხლიანი მასხარა“, ისეთივე იდეთ შებყრობილი ადამიანი იყო, როგორც ნებისმიერი კეთილი კაცი და მისთვის, კასპარ შმიტისათვის, წინასწარ დადგენილი ზნეობრივი ზღვარი, როგორც ასეთი, კეთილისა და ბოროტის იდეას შორის არ არსებობდა. მაშ რით შეიძლება დაეუკავშიროთ ერთმანეთს „შტირნერის ანარქიზმი“ და ზნეობა მით უფრო, რომ გერმანელი ანარქისტი ერთადერთი არ იყო ვინც ასე ფიქრობდა. მას გამოუჩნდნენ მიმდევრები, მოსწავლეები, უბრალო მიმბაძველები, ეს ხომ ფაქტია. არსებობს მთელი მიმდინარეობა ცნობილი ინდივიდუალური ანარქიზმის სახით, რომელიც ასევე მტრულად ეკიდებოდა და ეკიდება დღესაც საზოგადოებრივ აზრს, შორს რომ არ წავიდეთ მაგალითისათვის, სულ ახლო წარსულში ესოდენ ფართოდ გავრცელებული და ანარქიზმის ერთ-ერთ ნაირსახეობად აღიარებული ხიბთა მოძრაობაც იკმარებდა, რომელიც უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდების ერთი ნაწილის მიერ საზოგადოებაში მოქმედი ზნეობრივი კოდექსისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულების ერთგვარი დემონსტრირება იყო.

უნდა ითქვას, რომ ასეთი მკვეთრი დაპირისპირებები ანარქიზმისთვის უცხო არ არის და ეს შეეხება არა მხოლოდ ზნეობის საკითხს, რომელზეც ამჟამად ჩვენ ვსაუბრობთ, არამედ საერთოდ ნებისმიერ მოვლენას, რომელთანაც ანარქიზმს შეეხება გააჩნია. ვფიქრობთ, გარკვეულწილად სწორედ დაპირისპირებათა ეს მრავალფეროვნება, მოულოდნელობა, წინასწარ დადგენილი საზღვრების უარყოფა, განაპირობებენ კიდევაც ცოცხალ ინტერესს ანარქიზმისადმი, რომელიც არავის არ ტოვებს გულგრილს და ამასთან ყველას უტოვებს შესაძლებლობას თავისებურად აღიქვას, დაინახოს გარშემო სამყარო და რასაკვირველია თვითონ ანარქისტები ამ სამყაროს გარემოცვაში.

ანარქისტები და სამყარო, მათი ურთიერთდამოკიდებულება აი ამოსავალი ცნებები, რომელსაც უნდა დავეყრდნოთ ჩვენ ანარქისტთა ზნეობაზე საუბრისას და არ უნდა ვიმსჯელოთ იმის მიხედვით თუ რა დამოკიდებულებაში იყო კასპარ შმიდტი მე-19 გერმანიის პროვინციის (თუნდაც ქალაქის) საზოგადოებრიობასთან, ანდა 60-იანი წლების ინგლისელი ახალგაზრდა მისი მშობლებისა და თანაკურსელების მიერ აღიარებულ ზნეობრივ ღირებულებებთან. საკითხის ასე დასმა, ვფიქრობთ, მრავალ სირთულეს მოგვიხსნის, უპირველეს ყოვლისა კი ავგარიდებს იმ იოლ და ამდენად მაცდურ შეხედულებას ცალ-ცალკე გაგვეხილა ზნეობასთან მიმართებაში ვუწოდოთ ასე: ჩერქეზიშვილ-წერეთლისებური ზნეობრივი ანარქიზმი და ცალკე შტირნერ-ტეკერისებური (ამერიკელი ანარქისტ-ინდივიდუალისტია), ან თუნდაც გოგელისებური უზნეო ანარქიზმი. საკითხისადმი მსგავსი მიდგომა არ იქნებოდა გამართლებული.

რასაკვირველია არავინ არ უარყოფდა და არ უარყოფს იმას, რომ ანარქიზმს გააჩნია სხვადასხვა მიმდინარეობები, რომელთა შორის არსებობს გარკვეული განსხვავება და ზოგჯერ არსებითიც. მაგრამ ეს ყველაფერი ეტევა ერთი მიმდინარეობის საზღვრებში*. და არ შეიძლება იმის თქმა, რომ „ჩერქეზიშვილის ანარქიზმი“ ზნეობრივია და შტირნერისა — უზნეო, მით უმეტეს, რომ საქმე გვაქვს მეტად რთულ სოციალურ და ფილოსოფიურ კატეგორიებთან: პროვინცია და საზოგადოება, ცალკეული ადამიანის ქცევის შეფასება საზოგადოების მიერ და ასევე ცალკეული ინდივიდის უკურაქცია, მით უფრო საზო-

* ხარისხობრივ მაჩვენებლებში და მეტ-ნაკლებობის ზღვარს არ სცილდება.


ვადოების მიერ წინასწარ დადგენილ ქცევის წესებზე. დღეს მართალია ძნელია იმის წინასწარმეტყველება, რა მიმართულებას შეიძენდა ვ. ჩერქეზიშვილის ანარქისტული მოძღვრება, ის რომ ეროვნული ტკივილით არ იყოს ესოდენ დამძიმებული, მაგრამ შესაძლებელია შედარება ჩერქეზიშვილისა და შტირნერის შეხედულებების. ვინაიდან ჩერქეზიშვილის „გატაცება ნაციონალიზმით“ შეიძლება ისეთივე გადახრად ჩაითვალოს, ანარქიზმიდან (თუ უფრო მეტი არა), როგორც შტირნერისა ინდივიდუალიზმით⁷.

თუკი ჩვენ ჩაუკვირდებით სათავეს ორივე ანარქისტის „შეცოდებისას“ საზოგადოებისა და საკუთარი იდეოლოგიის წინაშე, დავრწმუნდებით, რომ განსხვავება მათ შორის მხოლოდ პიროვნული უკუჩრეაქციის გამოწვევებზე მიზეზებშია. თუკი შტირნერისათვის ასეთად იქცა ზნეობა, უფრო სწორად უკუჩრეაქციის მექანიზმმა საზოგადოებრივ დაწოლაზე შტირნერთან იმძლავრა ზნეობის საკითხებში, ჩერქეზიშვილთან მსგავს მოვლენას ვხვდებით ჩვენ ეროვნულ საკითხში. ის რასაც საზოგადოებაზე ამბობდა შტირნერი, რომ საზოგადოებას არ აქვს უფლება წინასწარ დადგენილი ნორმებით (თუნდაც ზნეობრივით) იმსჯელოს ჩემს პიროვნებაზე, როგორი ვარ მე, კარგი თუ ცუდი, კეთილი თუ ბოროტი — იგივეს ამბობდა ვ. ჩერქეზიშვილიც^{**}, რასაკვირველია უფრო ფართო გაგებით, როდესაც საქმე ეხებოდა ყოფნა-არყოფნის საკითხს. რომ არავის არ აქვს უფლება, რასაკვირველია გარდა თვით ქართველი ხალხისა განსაზღვროს მისი სახელმწიფოებრივი სტატუსი (ასე ვთქვათ პიროვნულობა) და უფლება-მოვალეობათა ზღვარი დანარჩენ სახელმწიფოებთან, ხალხებთან მიმართებაში. ქართველ ანარქისტთა ეროვნულ კონცეფციაზე ჩვენ ცალკე გვექნება საუბარი. ამჟამად კი შეიძლება ვაკეთდეს ასეთი დასკვნა, რომ მაგალითად, თუკი შტირნერის შემოქმედებაში პიროვნების სასიცოცხლო ინტერესების ხელყოფის იდეამ განსაკუთრებით მძლავრად იფეთქა ზნეობრივ ნორმებთან დაკავშირებით, ჩერქეზიშვილ-წერეთლის შემოქმედებაში მსგავსი მექანიზმი ეროვნულმა სატკივარმა ამოქმედა — ისევე როგორც ეს შეგვიძლია ჩვენ მივაწეროთ სოციალური უთანასწორობის იდეას ბაკუნინის, კროპოტკინის, ძმები გოგელიების ანარქისტულ შეხედულებებში. როდესაც ეს უკანასკნელნი უგულვებელყოფდნენ საზოგადოებრივ აზრს, სისხლის მსმელსა და კაცის მკვლელს უწოდებდნენ ადამიანს მხოლოდ იმისთვის, რომ ეს უკანასკნელი ღვთის ნებით შეძლებული კაცის ოჯახში დაიბადა (მაგ. იხილეთ ენ გრაფი, რეკლიუ, ძმები გოგელიები) ან კიდევ „კანცელარიის სარკმლიდან მომზირალობობას“ აღარებდა ადამიანთა გარკვეულ კატეგორიას (მაგ. კროპოტკინი) მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის მიუღებელი იყო საქმიანობის ის ფორმა, ცხოვრების ის წესი, რომლითაც ეს ადამიანები ხელმძღვანელობდნენ. და ბოლოს, განა შეიძლება ზნეობრივი გამართლება მოექმნოს საკუთარი მიზნის მისაღწევად ისეთი საზიზღარი მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა მოსახლეობის ერთი ნაწილის მეორეზე წაქეზება, „მოსახლეობის დაბალ სოციალურ ფენებში საზოგადოების შეძლებული ნაწილისადმი სიძულვილის გამოწვევა, მითითება მდიდრებზე, როგორც ღარიბების კეთილდღეობისათვის ხელისშემშლელ მთავარ მიზეზზე... ქადაგება, — როგორც წერდა ბ. ჩიჩერი-

⁷ იხ. შ. გოგელიას მითითებები მ. წერეთელსა და ეროვნულ პოზიციაზე მდგომ ანარქისტებზე, როგორც „ხალხის მტერ ნაციონალისტებზე“.

^{**} იგივე პოზიციაზე იღვა მ. წერეთელიც.

2. „მაცნე“, სამართალი, 1993, 2



ნი, — საყოველთაო მკვლევლობისა, რომლის მოსმენაც კი საკმარისია რათა კაცმა კითხოს საკუთარ თავს: როგორ? რა გზით მოხვდნენ ან გაჩნდნენ მსგავსი აზრები არამც თუ ადამიანის სულში, არამედ საერთოდ ამ ღვთის მიერ შექმნილ ქვეყანაზედ?⁸ ვისაც კი ოდნავი შეხება მაინც ჰქონია ანარქიზმთან, ალბად დაგვეთანხმება, რომ ასეთი ან მსგავსი მოწოდებები საკმარისადაა როგორც ანარქისტ-სინდიკალისტთა ისე ანარქისტ-ინდივიდუალისტთა შეხედულებებში. ამდენად დაყოფა იმისდა მიხედვით, რომ აი კროპოტკინის ანარქიზმი ზნეობრივი იყო და შტირნერისა უზნეო მეტად ზედაპირულია და სასურველ შედეგს არ მოგვცემს. მსჯელობა უნდა იყოს აუცილებლად ზოგადი, ყოვლისმომცველი, ამსახველი საერთო დამოკიდებულებისა ანარქიზმსა და ზნეობას შორის. და თუკი საკითხის ამ სახით შესწავლის შემდეგ ჩვენ მივალთ დასკვნამდე, რომ ასეთი კავშირი არსებობს მაგ. შტირნერის შეხედულებებსა და ზნეობას შორის, მაშინ ვაცილებით მეტი საფუძველი გვექნება მსგავსი კავშირები ვეძებოთ კროპოტკინის, ჩერქეზიშვილის, წერეთლის შემოქმედებაში. ეს უკვე სულ სხვა საკითხია.

მაშასადამე, როგორც ეს აღნიშნული იყო მსჯელობის პირველ ნაწილში, შტირნერისათვის, ზნეობრივი თვალსაზრისით, არ არსებობდა კარგისა და ცუდის გამიჯვნა; მაგრამ იქვე უნდა დავძინოთ, არ არსებობდა იმდენად, რამდენადაც ეს საზოგადოების მიერ დადგენილი იყო წინასწარ, მისგან, კასპარ შმიდტისაგან დამოუკიდებლად. უფრო მეტიც, შტირნერის შეხედულებებით, ზნეობა, ისევე როგორც სახელმწიფო, სამართალი, ეკლესია, საზოგადოების მიერ აღიარებული იყო არა უბრალოდ ზელშეუხებელ კატეგორიად, არამედ შტირნერის სიტყვებით რომ ვთქვათ, ის აყვანილი იყო წმინდანის რანგში. რაც განსაკუთრებით აღიზიანებდა გერმანელ ანარქისტს, რომლისთვისაც „არ არსებობდა არც ერთი მოვლენა, რომელიც იქნება წმინდა, თავისთავად წმინდა ხდება ყველაფერი მხოლოდ მას შემდეგ, რაც მე ვაღიარებ მას ასეთად, ჩემი გადაწყვეტილების მეშვეობით, ჩემი მუხლმოყრით, მოკლედ ჩემი სინდისის მეშვეობით. წმინდაა ყველაფერი, რაც ზელშეუხებელია ეგოისტისთვის“⁹.

ამდენად, ბუნებრივია რომ ზნეობრივი ღირებულებები იმ სახით, რა სახითაც ეს მიღებული იყო საზოგადოებაში, რომელშიც შტირნერს უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა (მე-19 საუკუნის გერმანიის პატარა პროვინციული ქალაქი ბაირაიტი, შემდგომ ბერლინი) ვერ გახდებოდა შტირნერის „მუხლმოყრის საგანი“ იმიტომ, რომ მათი დაცვა ითვლებოდა თითოეული ადამიანის მოვალეობად ზუსტად ან თითქმის ისევე, როგორც მაგალითად პატივისცემა სახელმწიფოში მოქმედი კანონებისა ან სახელმწიფო წყობისა¹⁰.

შტირნერის შეხედულებით ეს იყო მთელი კოდექსი სულის შემხუთველ ნორმათა, რომლის დაცვის შემთხვევაში სახელმწიფო (საზოგადოება) „ცნობდა შენში კარგ მოქალაქეს“, „ზნეობრივად მოწესრიგებულ ადამიანს“, რომელიც გერმანელი ანარქისტის აზრით, სხვა არა იყო, თუ არა „მეფის, სახელმწიფოს, ზნეობრივი სულის მსახური“¹¹, რომელსაც ამდენი სამსახურის შემდეგ საკუთარი პიროვნებისთვის აღარაფერი რჩებოდა. ეს მაშინ, როდესაც ზნეობრივი

⁸ Из истории русской правовой мысли «Власть и право»; с. 82.

⁹ Штирнер, «Единственная его собственность», с. 47.

¹⁰ იქვე, 83. 124.

¹¹ იქვე, 83. 69.

კოდექსი შტირნერისთვის არ არსებობდა პიროვნების გარეშე. მასაც პიროვნებაში უნდა ჰქონოდა სათავე ისე, როგორც ნებისმიერ უფლებას. „ნუ დატოვებ უფლებას შენს გარეშე, — წერდა შტირნერი, — დააბრუნე იგი შენში, და ის იქცევა შენ უფლებად, კარგია ის, რაც კარგია შენთვის“¹². რაც შეეხება სიტყვებს ვალდებულება, მოწოდება, დანიშნულება, გერმანელი ანარქისტის აზრით, ეს მხოლოდ სიტყვებია, ზოგადი ცნებები, რომლებიც ხელს უშლიან ადამიანის პირადი „მე“-ს განვითარებას¹³. ადამიანისა, რომელიც „არაფრისთვის არ არის მოწოდებული, მას არავითარი „ამოცანა“, არავითარი „დანიშნულება“ არ გააჩნია. ისევე, როგორც ეს არ გააჩნია მცენარეს, ცხოველს“¹⁴.

შტირნერის აზრით, ადამიანის ერთადერთი ყველაზე დიდი მოწოდება ესაა თავისუფლება. „ადამიანი, — წერდა „ერთადერთისა და მისი მონაპოვარის“ ავტორი, — ჰეშმარითად ზეიმობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის სულიერად თავისუფალია! ვინაიდან ადამიანი ეს სულია და ამიტომ ყველა — უცხონი მისთვის — სულისთვის — ყველა ადამიანზე მაღლა მდგომი, ზეციური, არა-ადამიანური წარმოშობის ძალები უნდა დაემხონ მის წინაშე და სახელი „ადამიანისა“ უნდა დადგეს ყველა სახელზე მაღლა“¹⁵.

ამდენად, აღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შტირნერი უარყოფდა ზნეობას, მაგრამ ზნეობას — სახელმწიფოს, საზოგადოების მიერ თავს მოხვეუტს, ზნეობას იმ სახით, რომელზეც მ. წერეთელი წერდა: „...ვია იმ პიროვნებას, ვინც წინ აღუდგება ასეთს დადგენილ „ზნეობას“ იგი ყოველთვის მოწამედ ხდება, ან როგორც „უბრალო დამნაშავე ან და როგორც ახალი „სჯულის“ მქადაგებელი“¹⁶. როგორც ვხედავთ, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულმა ზნეობრივმა ნორმებმა არა მხოლოდ ფორმა ისესხეს ჩვეულებიდან, სამართლიდან, არამედ მემკვიდრეობით გადმოცემა (მაგალითად, ჩვეულებიდან)* ძალდატანებითი ხასიათიც, მართალია შედარებით სუსტი, ვიდრე კანონს აქვს, მაგრამ საკმარისი იმისთვის, რათა ხელის შემშლელ ფაქტორად გამოსულიყო ანარქისტებსა და ზნეობას შორის ურთიერთობაში. თუ დავუკვირდებით იმავე შტირნერის მაგალითზე, სწორედ ეს ძალადობის ელემენტი აღიზიანებდა ყველაზე მეტად გერმანელ ანარქისტს, არ აძლევდა მას საშუალებას უშუალო კონტაქტში შესულიყო თუნდაც იგივე „სიკეთესთან“, ან „ბოროტებასთან“ ყოველგვარი ზნეობრივი სანქციის გარეშე საზოგადოების მხრიდან. თუ ერთი წუთით მაინც დავუშვებთ და წარმოვიდგენთ „სიკეთეს“ ან „ბოროტებას“ თავისთავად იმას, რაც ასეთად მიაჩნია ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებაში (გარემოებაში) თვით პიროვნებას. მაგალითად, შტირნერს ყოველგვარი მესამე ძალის (საზოგადოებრივი აზრის) გარეშე, ვანა შეიძლება იმის მტკიცება, რომ გერმანელ ანარქისტს ან რომელიმე სხვა წარმომადგენელს ანარქისტული მიმდინარეობისა არ ჰქონდათ ან არა აქვთ ამა თუ იმ ხასიათის

¹² იქვე, ს. 144.

¹³ იქვე, ს. 17.

¹⁴ იქვე, ს. 238.

¹⁵ Штирнер, «Единственная его собственность», с. 88.

¹⁶ მ. წერეთელი, „ერი და კაცობრიობა“, გვ. 47.

* მ. წერეთლის შეხედულებით, ზნეობრივი ნორმები სავალდებულო ხასიათს იძენენ მას შემდეგ, რაც რელიგია, რომელიც თვითონაც განიცდის ამ ცნებათა გავლენას „ანიჭებს მათ თავისს უზუნაესს სანქციას, ყოველ ზნეობრივ ნორმას განსაზღვრულ საზოგადოებაში“ (ერი და კაცობრიობა — გვ. 47).

ზნეობრივი აქტის აღქმის უნარი (მაგ. „კარგია ის, რაც კარგია შენთვის“ შტირნერთან) ან თვითონ ის გამორიცხავს თავის მხრიდან მსგავს ქმედებას (საკუთარი სინდისის კარნახით), მხოლოდ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მთავარია ქმედება განპირობებული იყოს, გადაწყვეტილება მომდინარეობდეს თვით პიროვნების ნებიდან ყოველგვარი საზოგადოებრივი დაწოლის გარეშე. აი ფსიქოლოგიური მომენტი, რომელიც აუცილებლად გასათვალისწინებელია ანარქისტთა შეხედულებებსა და ზნეობას შორის არსებულ კავშირზე საუბრისას.

შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად შტირნერის მიზანიც ეს იყო, უარყოფდა რა ზნეობრივ ნორმებს იმ სახით, რა სახითაც ისინი დამკვიდრებული იყვნენ საზოგადოებაში, სურდა წარმოეჩინა მათი მანკიერი მხარე, მათი ფორმალური, ზედაპირული დამოკიდებულება პიროვნებისადმი.

აღნიშნულის დასადასტურებლად შტირნერს მოქონდა მეტად თვალსაჩინო მაგალითი კაცობრიობის ისტორიიდან, ეს იყო რომის „პირველი მოქალაქის“ ნერონის მკვლელობის მაგალითი. შეგნებულად გადაქონდა რა მოქმედება ეპოქაში, როდესაც მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ ზნეობრივი ღირებულებანი განსაკუთრებით მკვეთრად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს „ნერონის ეპოქაში“ შეიძლება ყოფილიყავი ორიდან ერთი, ან კარგი ან ცუდი“. შტირნერი მოუწოდებდა „ზნეობის ორთოდოქსთ“ შეეფასებინათ ნერონის მკვლელის მოქმედება; განესაზღვრათ რა იყო ეს: უზნეობა — ჩადენილი „ბოროტი რევოლუციონერის“ მიერ, თუ გმირობა ღირსეული მოქალაქისა.

სწორედ აქ ჩნდება გერმანელი ანარქისტის აზრით „საზოგადოების დაუწერელ კანონთა“ უსუსურობა, მათი მოუხეშაობა და სიტლანქე (ვფიქრობთ საერთო ნაკლი ყოველივე წინასწარ დადგენილისა გ. ფ.) ვინაიდან თუკი ვიმსჯელებთ ზნეობრივზე ტრადიციული გაგებით, ნერონის მკვლელი ბოროტი რევოლუციონერია, მეამბოხეა, რომელმაც ხელყო საზოგადოებაში დამკვიდრებული ცხოვრების წესი და ამასთან ერთად ხელყო ადამიანის სიცოცხლე, რომ აღარაფერი ვთქვათ ნერონის საზოგადოებრივ მდგომარეობაზე. მაგრამ შევხედოთ ეხლა საკითხს სხვა კუთხიდანაც, რამდენად შეეფერება „ზნეობის ორთოდოქსების“ მიერ გამოტანილი განაჩენი „მწარე“ სინამდვილეს, რომელიც საწინააღმდეგოს მეტყველებს, ვინაიდან შეუძლებელია ცუდის მქნელი ეწოდოს ადამიანს, რომლის ნამოქმედართაც ისარგებლა მთელმა საზოგადოებრიობამ, მთელმა „კეთილმა რომმა“, როგორც ირონიულად შენიშნავდა შტირნერი?

სად არის აქ ლოგიკა? სად იყო „კეთილი რომი“ მანამ სანამ არ აღსდგა „ერთი ბოროტი რევოლუციონერი“? და ვინ არის საერთოდ ამ შემთხვევაში კეთილი და ვინ ბოროტი, სად არის სიკეთე და სად ბოროტება? აი კითხვები, რომლებზეც, შტირნერის აზრით, წინასწარ დადგენილი ნორმა თუნდაც მას ისეთი ზოგადი შეფასების მიცემა მოეთხოვებოდა როგორც ზნეობრივია, უძღურია პასუხი გასცეს, გამოუსადეგარია. (რომ აღარაფერი ვთქვათ სამართლის ნორმის მიერ გაცილებით რთული და საპასუხისმგებლო ფუნქციის შესრულებაზე. გ. ფ.)

უფრო მეტიც, არამც თუ შეფასება, არამედ ანარქისტთა შეხედულებით, ხშირია შემთხვევები, როდესაც ზნეობრივი ნორმები მათში ჩადებული იძულებითი ელემენტის (ხასიათის) გამო, თვითონ ჩნდებიან უზნეობის მიზეზი. როგორც მაგალითად, აღნიშნულზე მიუთითებდა ჟან გრავი. „ზნეობრივი იძულების შედეგი, — ვკითხულობთ ფრანგ ანარქისტთან, — რომლის მიზეზიცაა

არასწორი აღზრდა, არის პირფერობა და ტყუილი. საზოგადოება კიცხავს, მაგალითად, ცოლ-ქმარს, რომელთაც გადაწყვიტეს დამორღვენ იმის გამო, რომ აღარ გააჩნიათ სიმპატია ერთმანეთის მიმართ, მაგრამ იგივე ზნეობრივი ნორმები მიმტევებელნი ხდებიან იმ წყვილთა მიმართ, რომელნიც სინამდვილეში ჩუმ-ჩუმად კი ატყუებენ ერთმანეთს, მაგრამ იცავენ წესიერების დადგენილ ზღვარს, რათა არ გახდნენ საზოგადოების ზედმეტსიტყვიერების საგანი¹⁷.

შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი იყო ქართველ ანარქისტთა დამოკიდებულება ზნეობისადმი. მ. წერეთელი მაგალითად ისევე ამხავილებდა საზოგადოების ყურადღებას ზნეობრივი ნორმების მიერ საუკუნეების მანძილზედ შეძენილ ძალდატანებით ხასიათზე, როგორც მ. შტირნერი ანდა ჟან გრავე. ქართველი ანარქისტის აზრით, არა ერთი „შინაური მღვდლის“ სიცოცხლე შესწირვია ძველ ზნეობრივ ღირებულებებთან ბრძოლას და ახლის დამკვიდრებას, ისევე და ისევე საზოგადოებაში, რომლის გარეშეც ზნეობა, მორალი, წარმოუდგენელია. „სოციალური მხრით, ზნეობა ხომ მხოლოდ ადამიანთა ურთიერთგანწყობილებაში გამოიხატება და იმართდება“, — წერდა მ. წერეთელი¹⁸. ისევე, როგორც თავის მხრივ წარმოუდგენელია საზოგადოება მოწესრიგების გარეშე. „ადამიანთა ყოფა-ცხოვრება საზოგადოებაში, — წერდა ქართველი ანარქისტი, — მოწესრიგებული რამ არის და ამიტომ აგრეთვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზნეობა არის მოწესრიგება ადამიანთა ყოფა-ქცევისა ურთიერთისადმი და პიროვნებისა ადამიანთა შორის“¹⁹. უზნეო, უწესო ყოფა-ქცევა კი მ. წერეთელს შეუძლებლად მიაჩნია, როგორც საზოგადოებისათვის ისე პიროვნებისთვის, როგორც ერთმანეთთან ისე საკუთარ თავთან მიმართებაში²⁰.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მ. წერეთლის შეხედულება პიროვნულ ზნეობაზე, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილზე, პირველსაწყისზე იმ წესთა, რომელნიც წარმართავენ ადამიანთა ცხოვრებას საზოგადოებაში. ქართველი ანარქისტის აზრით, ზნეობრივი თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, თუ რამდენადაა ინდივიდის მიერ შემეცნებული საკუთარი მე, მსგავსება თუ განსხვავება უცხო ინდივიდებთან, ახლო მეგობრებთან, ნათესავებთან მიმართებაში. ვინაიდან მხოლოდ ამ შედარებით ანალიზის შემდეგ შეუძლია პიროვნებას წარმოიდგინოს საკუთარი ვალდებულებამოსილი ზნეობრივი „მე“ და მოიყვანოს იგი არა შესაბამისობაში, არამედ „განსაზღვრულ დამოკიდებულებაში“ სხვა „მე“-ებთან, რაც ქართველი ანარქისტის აზრით, „გულისხმობს უკვე მოწესრიგებულ ცხოვრებას, საზოგადოებას, რომელშიც ადამიანები განსაზღვრულ წესებს ემორჩილებიან“²¹.

რამოდენიმე არსებით შტრიხს მატებდა ზნეობრივი პიროვნების პორტრეტს ვ. ჩერქეზიშვილი, რომლის შეხედულებითაც შეუძლებელია ზნეობრივი საწყისის ძებნა იქ, სადაც უვიცობა, მონობა და სიძულვილია გაბატონებული. „ზნეობრივად ფაქიზნი და სრულნი არიან მხოლოდ დიდად განათლებულნი და თავისუფალის ცხოვრების ადამიანნი, — წერდა ქართველი ანარქისტი, — რომელნიც მშრომელ და მოსიყვარულე ოჯახში ცხოვრობენ, ისეთს საზოგადოებაში,

¹⁷ Жан Грав, «Будущее общество». с. 107.

¹⁸ მ. წერეთელი, ერი და კაცობრიობა, გვ. 47.

¹⁹ იქვე, გვ. 48.

²⁰ იქვე.

²¹ იქვე.

რომელიც პატივსა სცემს ადამიანისა და პირადობის უფლების ხელშეუხებლობას“²².

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ საკითხი ასეც შეიძლება დაისვას, რომ მ. წერეთელი, ვ. ჩერქეზიშვილი და სხვ. ესენი ხომ საზოგადოებისათვის მომწესრიგებელი წესების აუცილებლობას აღიარებდნენ, მით უფრო და ეს განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ვ. ჩერქეზიშვილი ყურადღებას ამახვილებდა ზნეობრივი პიროვნების ჩამოყალიბებაში „მოსიყვარულე ოჯახის“ ფაქტორზე, ასეთი, თუ შეიძლება ითქვას, ქართული, ეროვნული მოტივის შემოტანა ზნეობრივ საკითხებთან მიმართებაში, მით უფრო ევროპაში მცხოვრები ანარქისტიკისაგან, მართლაც მოულოდნელი იყო, და მოულოდნელი იმის გათვალისწინებით თუ გავიხსენებთ როგორი იყო შტირნერსა და უ. გრავეზე რომ აღარაფერი ვთქვათ, იგივე შ. გოგელიას შეხედულებები ოჯახზე, მამისა და ოჯახის სხვა წევრებს შორის დამოკიდებულებაზე*. აღნიშნული განსხვავებები არსებული შტირნერისა და ვ. ჩერქეზიშვილის, გრავისა და მ. წერეთლის შეხედულებებში ზნეობის საკითხებთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, მინიმუმამდე მცირდება, როდესაც ვნახულობთ თუ რაოდენ ზოგადი, მრავლის მომცველი კრიტიკით განსაზღვრავდა, დაუშვით იგივე მ. წერეთელი ცალკეულ ზნეობრივ კატეგორიებს. მაგალითად, კეთილი კაცის ცნებას, კარგა და ცუდს, სამართლიანობასა და უსამართლობას და რაც მთავარია ყოველ მის განსაზღვრებაში აუცილებლად რჩებოდა ადგილი პიროვნებისათვის, რათა ცალკეულ ინდივიდს ჰქონოდა შესაძლებლობა, გამომდინარე ისტორიული თუ ცხოვრებისეული სინამდვილიდან, საკუთარი შეხედულებისამებრ გაეტარებინა ეს იდეები ცხოვრებაში. „კარგი კაცი უკანასკნელი ანგარიშით, — ვკითხულობთ მ. წერეთლის ნაშრომში — იმასა ჰქვიან, რომელიც ნაკლებს ტანჯვას მიაყენებს მოყვასს, ნაკლებ ძალას წაართმევს, ნაკლებად დასჩაგრავს და მეტ ძალას მოუმატებს, მეტად დააკმაყოფილებს, მეტად განაფართოვებს მისი მოქმედების ასპარეზსა და მის ნიჭს. ცუდი კაცი წინააღმდეგი მოვლენას“²³.

იგივე შეიძლება ითქვას ვ. ჩერქეზიშვილზე, რომელსაც ნებისმიერი საზოგადოების სასიცოცხლო მოთხოვნილებად მიაჩნდა ადამიანისა და პირადობის უფლების ხელშეუხებლობა“²⁴, მათი დაცვა.

მაგრამ თუკი ფუნქციათა აღრევა სამართალსა და ზნეობას შორის მაინც მოხდება, მაშინ იგი უნდა აისახოს ან საზოგადოებრივი აზრის მიერ პიროვნების ხელყოფასა და ზნეობრივი ნორმებისათვის სავალდებულო ძალის მინიჭებაში, ან კიდევ კანონის მხრივ ზნეობრივი ნორმების შეცვლის მცდელობაში. ამ ორი შემთხვევიდან თუ უკანასკნელი მ. წერეთელს შეუძლებლად მიაჩნდა:

²² გაზ. „ივერია“, 1894 წ., № 174.

* უნდა აღენიშნოთ, რომ ქართველი ანარქისტები ცნობდნენ ზნეობის კლასობრივ დაყოფასაც. ქართველი თავადაზნაურობის, ვაჭართა, მეწარმეთა, უბრალო მშრომელი ხალხის და სამახსოვრებელი ზნეობრივი პორტრეტები აქვს გადმოცემული ვ. ჩერქეზიშვილს. იხ. „ივერია“, 1894 წ., № 174.

** შ. გოგელია ოჯახს საპრობილედ მოიხსენიებდა, ხოლო ცოლ-ქმრულ ურთიერთობას მღვდლის მიერ ნაკურთხ უზნეობას უწოდებდა.

²³ მ. წერეთელი, „კანონი“, გვ. 87.

*** ანალოგიურად მსჯელობდა მიხაკო წერეთელი ბოროტსა და კეთილზე, სამართლიანობასა და უსამართლობაზე. იხილეთ „კანონი“, გვ. 87.

²⁴ გაზ. „ივერია“, 1894 წ., № 174.

„ყოვლად შეუძლებელია — წერდა ქართველი ანარქისტი — ზნეობა გამოხატულ იქნას კანონის მიერ, რადგან მაშინ უნდა შესაძლოდ ვყოფილიყავით, რომ კანონს შეუძლია მთელ სოციალურ ჩვეულებათა და ადამიანის წარსულისა და აწმყოს თავის მოყრა და გამოხატვა. ამგვარი კანონი კი აბსურდია „როგორც შეუძლებელი და უაზრო თუ იგი შესაძლებელია“²⁵. ამას ვერ ვიტყვით ჩვენ ზნეობრივ ნორმებთან მიმართებაში, ვინაიდან კაცობრიობის ისტორიას არა ერთი შემთხვევა ახსოვს როდესაც ზნეობის წინაშე შეცოდებისთვის საზოგადოება ისევე ან გაცილებით მკაცრად სჯიდა თავის წევრს, როგორც სახელმწიფო სისხლის სამართლის დამნაშავეს. პიროვნებისათვის კი ძალადობის მსგავსი მოზღვაგების შემთხვევაში დიდი განსხვავება არაა ჯალათის ნაჯახის ქვეშ დაღვეს სულს, როგორც მსჯავრდებული, თუ მაგალითად, ციციკორეს მიერ გონებადაკარგული ბრბო ჩაქოლავს ტალახითა და ქვით საკუთარ სიყვარულთან ერთად.

შეიძლება ითქვას, რომ ამ უკანასკნელი შემთხვევის, ე. ი. საზოგადოებრივი აზრის პიროვნებაზე დაწოლის წინააღმდეგ იყო ძირითადად მიმართული ამბოხი, რომელმაც მართალია სხვა და სხვა ფორმით, მაგრამ თითოეული ანარქისტის შეხედულებებში პოვეს ასახვა. შტირნერმა მაგალითად, ეს გამოხატა „სანიმუშო მოქალაქის“ ზნეობრივი კოდექსის უარყოფით, ე. გრავამა ჩვენს შემთხვევაში — საზოგადოების თვალში „იდეალური ცოლ-ქმრის“ ხატების დამხობით, ხოლო შ. იგოგელიამ და მასთან ერთად მრავალმა ანარქისტმა, დაბრმავებულმა სიძულვილით, ყოველგვარი (მათ შორის ზნეობრივი) ძალდატანების წინაშე, ჩამოთვლილ კერპებს სამშობლოს კერპიც ზედ მიაყოლეს. ეს ისეთი ფაქტია, რომელსაც სამწუხაროდ ივერდს ვერ ავუქცევთ, მაგრამ ამასთან ფაქტი განმამტკიცებელი რწმენისა, რომ ანარქისტები სიძულვილიც ისევე უსაზღვრონი და თავშეუკავებელნი იყვნენ, როგორც სიყვარულში, სწრაფვაში საკუთარი იდეალისკენ — თავისუფლებისკენ.

Г. Ю. ПЕРАДЗЕ

АНАРХИСТЫ О НРАВСТВЕННОСТИ

Резюме

В статье на основании работ Макса Штирнера, П. Кропоткина, В. Черкезишвили, М. Церетели и других анархистов, рассматриваются вопросы их отношения к нравственности.

По мнению автора, нуждается в уточнении распространенное мнение об отношении этого течения философов к проблеме нравственности. Анархисты отрицали не нравственность вообще, а общественное мнение, которое часто приобретает догматический характер, тогда как этого нельзя сказать о личной нравственности, подтверждением чего служат личности П. Кропоткина, В. Черкезишвили, М. Церетели и других анархистов.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის განყოფილებამ

²⁵ შ. წერეთელი, „კანონი“, გვ. 86.

ალექსანდრე კვაშილავა, ლევან კვაშილავა

**პასუხისმგებლობა დანაშაულის ჩადენის მცდელობისა
და მომზადებისათვის**

მოქმედი კანონიდან გამომდინარე, დანაშაულის ჩადენის მცდელობად კვალიფიცირდება განზრახული მოქმედება, რომელიც ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი მისი ჩამდენი პირის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ქმედობის ბოლომდე ვერ მიყვანა აღნიშნულ შემთხვევაში გულისხმობს დანაშაულებრივი შედეგის მიუღწევლობას. დანაშაულის ჩადენის მცდელობის სამართლებრივად გამართული შინაარსი საქართველოს სსკ მე-17 მუხლის სახელწოდებიდან და მისი მეორე ნაწილიდან გამომდინარე მხოლოდ ასეთია. მაგრამ ამ კანონის ჩამოყალიბებაში, ჩვენი აზრით, ადგილი აქვს უზუსტობებს: 1. კანონი მიუთითებს დამნაშავეს, ე. ი. მსჯავრდებული პირის ნებაზე, მაშინ, როდესაც ქმედობის კვალიფიკაცია ხდება ეჭვმიტანილთა და ბრალდებულთა მიმართ, ე. ი. სამართალში მიცემამდე და საქმის სასამართლოს მიერ განხილვამდე.

დამნაშავე შეიძლება ეწოდოს პირს, რომლის მიმართაც გამამტყუნებელი განაჩენი შესულია კანონიერ ძალაში. კერძოდ, ეჭვმიტანისა და ბრალდების შემდეგ პირი უნდა მიეცეს სამართალში, სასამართლომ განიხილოს საქმე და ამ პირის მიმართ გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი. შემდგომ თუ არ იქნა გაუქმებული ეს განაჩენი მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ლაპარაკი დამნაშავეზე.

დანაშაულის ჩადენის მცდელობისათვის ეჭვმიტანილის მიმართ აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება, ან სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში მიცემა ხდება ვაცილებით ადრე, წინასწარი გამოძიების სტადიაში. სწორედ ამ სტადიაზე ხდება საქართველოს სსკ-ის განსაკუთრებული ნაწილის რომელიმე მუხლთან ერთად ამავე კოდექსის მე-17 მუხლის მეორე ნაწილით ქმედობის დაკვალიფიცირება რომელიმე კონკრეტული დანაშაულის ჩადენის მცდელობად. ამიტომ სსკ-ის მე-17 მუხლის მეორე ნაწილში დამნაშავეზე ლაპარაკი არ უნდა იყოს. მასში ლაპარაკი შეიძლება იყოს ეჭვმიტანილზე ან ბრალდებულზე, რომლებსაც შემდგომ მართლაც შეიძლება ეწოდოთ დამნაშავე, მაგრამ ეს საკითხი კანონიდან გამომდინარე სასამართლოს გადასაწყვეტია. მაშასადამე, განსახილველი კანონიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების პროცესში, ე. ი. სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე, არავის არ შეიძლება ეწოდოს დამნაშავე. ეჭვმიტანილი და ბრალდებული სისხლის სამართლის პროცესის წინასწარი გამოძიების სტადიაზე მონაწილენი არიან, ხოლო დამნაშავე ამ პროცესის მხოლოდ ყოფილი მონაწილეა. სასამართლოს მიერ მისი დამნაშავედ ცნობისა და განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან პროცესი შეწყვეტილია, ე. ი. ამ მომენტიდან დამნაშავე პროცესის ფარგლებს გარეთ იმყოფება, როგორც მსჯავრდებული. გარდა ამისა, პირის ეჭვმიტანილად და ბრალდებულად ცნობის სუბიექტებია მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოები, ხოლო დამნაშავედ პირის

ცნობის უფლება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილითა და სსკ-ის მე-4 მუხლით მინიჭებული აქვს მხოლოდ სასამართლოს და სასამართლოს ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ განაჩენის გამოტანის გზით.

გამომდინარე აღნიშნულიდან, სასამართლოს განაჩენამდე დამნაშავედ პირის ცნობის უფლება არავის, მათ შორის სასამართლოსაც არა აქვს. პირველად სიტყვა „დამნაშავე“ დანაშაულის ჩამდენს ეწოდება განაჩენით. ეს არ ნიშნავს იმას, რომ განაჩენის გამოტანამდე დანაშაულის ჩამდენი დამნაშავე არ არის და განაჩენის გამოტანის შედეგად ხდება იგი დამნაშავე. ის არის ასეთი დანაშაულის ჩადენის ან მისი ჩადენის მცდელობის მომენტიდან, მაგრამ არ შეიძლება მას ვუწოდოთ დამნაშავე მხოლოდ პროცედურულ გარემოებათა გამო, ე. ი. სასამართლოს მიერ საქმის განხილვისა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის გარეშე.

ამრიგად, საქართველოს სსკ მე-17 მუხლის მე-2 ნაწილი შინაარსობრივად არ შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილსა და სსკ-ის მე-4 მუხლს. გამომდინარე ზემო აღნიშნულიდან, ჩვენი აზრით, სსკ-ის მე-17 მუხლის მეორე ნაწილში სიტყვა „დამნაშავის“ შეიძლება შეიცვალოს სიტყვებით: „...ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის...“ ეს სიტყვები სამართლებრივად და გრამატიკულად სრულიად გამართულად ჯდება სიტყვა „დამნაშავის“ ადგილას, სიტყვებს შორის „მიყვანილი“ და „ნებისაგან“, მაგრამ მისი ჩამოყალიბება შეიძლება უფრო ლაკონურად და ზუსტად ამ დამატების გარეშეც. გარდა ამისა, როგორც უკვე ითქვა, ეს გამართლებული მაინც არ იქნება და ამიტომ საჭირო არ არის.

2. სსკ-ის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილი, რომელზეც მსჯელობაა ზემოთ, ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „დანაშაულის მცდელობად ჩაითვლება განზრახ მოქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად, თუ ამასთან დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო“.

ამ ტექსტში სიტყვა: „არ“, ჩვენი აზრით, უნდა შეიცვალოს სიტყვით „ვერ“.

საქმე ის არის, რომ ქმედობის დანაშაულის ჩადენის მცდელობად დაკვალიფიცირებისათვის საჭიროა კანონში მკვეთრად იყოს გამოხატული სწრაფვა დანაშაულებრივი შედეგისაკენ და მისი მიუღწევლობა დანაშაულის ჩამდენი პირის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ეს შინაარსი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რუსულ ტექსტში უკეთესად არის გამოხატული ვიდრე ქართულში. ამიტომ, შემოთავაზებული რეკომენდაციის გაზიარება და ახალ კოდექსში მისი გათვალისწინება მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

3. სსკ-ის მე-17 მუხლის სახელწოდებაში ლაპარაკია პასუხისმგებლობაზე დანაშაულის ჩადენის მცდელობისათვის, ხოლო მისი მეორე ნაწილი, როგორც ზემოთ არის ციტირებული, იწყება შემდეგნაირად: „დანაშაულის მცდელობად ჩაითვლება“...

დანაშაულის ჩადენის მცდელობა პიროვნების ქმედობას, რომ გულისხმობს ეს არ მიგვაჩნია სადავოდ, ხოლო დანაშაულის მცდელობა სულ სხვანაირად, რომ შეიძლება იქნეს გავებული არც ეს იწვევს დავას. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სსკ-ის მე-17 მუხლის მეორე ნაწილის პირველ ორ სიტყვას „დანაშაულის“ და „მცდელობად“ შორის ჩამატებულ იქნას სიტყვა „ჩადენის“.

ამავე მე-17 მუხლის მე-4 ნაწილში სიტყვა: „ხარისხს“, რომელიც ორჯერ არის ნახმარი ამ მუხლის აღნიშნულ ნაწილში, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. იგი არაზუსტად არის გადმოთარგმნილი ყოფილ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებს მე-15 მუხლიდან. ეს მუხლი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

«При назначении наказания, суд учитывает характер и степень общественной опасности действий, совершенных виновным, степень осуществления преступного намерения и причины, в силу которых преступление не было доведены до конца».

ეს ტექსტი ქართულად სსკ-ის მე-17 მუხლის მე-4 ნაწილში გადმოთარგმნილია შემდეგნაირად: „სასჯელის დანიშვნის დროს, სასამართლო მხედველობაში იღებს დანაშაულის მიერ ჩადენილი მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს, დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხს და მიზეზებს, რომელთა გამო დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“.

რუსულ ტექსტში სიტყვა: „степень“ გამოყენებულია არა როგორც ხარისხი, რომელიც არ ესადაგება აღნიშნული კანონის შინაარსს, არამედ ამ სიტყვით ასახულია ის, თუ რამდენად საშიში იყო ჩადენილი მოქმედება, რამდენად სრულყოფილად, როგორი ინტენსივობით ხორციელდებოდა იგი და როგორი დაჟინებით მიისწრაფოდა დანაშაულის სუბიექტი დანაშაულებრივი შედეგისაკენ, რამდენად მიუახლოვდა იგი ამ შედეგს და სხვა ამგვარი გარემოებები. რაც შეეხება მიზეზებს, რომელთა გამო, როგორც მითითებულია კანონში, დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, უნდა ითქვას, რომ მიზეზი უნდა იყოს ისეთი, რომელიც დანაშაულის სუბიექტს მისი სურვილის საწინააღმდეგოდ დანაშაულებრივი მოქმედების შედეგის მიღწევის საშუალებას არ მისცემს. ამიტომ კანონში სიტყვათა წყობა: „მიზეზებს, რომელთა გამო დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“, უზუსტობად უნდა ჩაითვალოს და ეს ტექსტი ნაცვლად სიტყვებისა „არ იქნა მიყვანილი“ უნდა მთავრდებოდეს სიტყვებით: „ვერ იქნა მიყვანილი“. კანონი დანაშაულის ჩადენის მცდელობად თვლის განზრახ ქმედობას, ჩადენილს დანაშაულებრივი შედეგის მიღწევის მიზნით, მაგრამ დამთავრებულს განზრახული შედეგის დადგომის გარეშე ისეთი მიზეზების გამო, რომლებიც დანაშაულის ჩადენის სურვილებზე არ არის დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება სსკ მე-17 მუხლის მე-4 ნაწილში მითითება, რომ სასამართლო სასჯელის დანიშვნის დროს, მხედველობაში იღებს მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროებისა და დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხარისხს. დანაშაულებრივი ქმედობის არც საშიშროებისა და არც მისი განხორციელების ხარისხი არ არსებობს. ქმედობის როგორც საშიშროების, ასევე მისი განხორციელების დახასიათება საჭიროა. ყოველმხრივ უნდა გაანალიზდეს როგორც ერთი, ისე მეორე, მაგრამ არც ერთი მათგანის დახასიათების გამოხატვა ხარისხებში არ შეიძლება. იმისათვის, რომ ხარისხებში აისახოს დანაშაულებრივი ქმედობის საშიშროება და განხორციელება, დაწესებული უნდა იყოს ასეთი ხარისხები. მაგალითად, ასეთ შემთხვევაში კანონით უნდა იყოს დაწესებული ქმედობის პირველი, მეორე, მესამე ხარისხის საშიშროება. მათი ასეთივე ხარისხების განხორციელება, ან ლაპარაკი უნდა იყოს მათ უმაღლეს, უდაბლეს და სხვა ხარისხებზე. ამგვარად ქმედობის საშიშროებისა და განხორციელების კლასიფიკაციაზე არც ჩვენს ქვეყანაში და არც ყო-

ფილ საბჭოთა კავშირში მსჯელობაც არ ყოფილა. არ გაგვაჩნია ქმედობის სა-
შიშროებისა და განხორციელების ისეთი კრიტერიუმი, როგორც არის ხარისხი.

მასსადამე, რას გულისხმობს სიტყვა „ხარისხი“ საქართველოს სსკ-ის
მე-17 მუხლის მეოთხე ნაწილში, რა შინაარსია მასში ჩადებული, რა ნიშნებით
და როგორ შეიძლება ამ ხარისხის დადგენა, რამდენი ხარისხი შეიძლება ჰქონ-
დეს დანაშაულებრივი ქმედობის საშიშროებას და მის განხორციელებას, რა
ნიშნებით შეიძლება ამ ხარისხების ერთიმეორისაგან განსხვავება და რა კრი-
ტერიუმებია დადგენილი მათი შეფასებისათვის, არ არის ცნობილი არც კანონ-
მდებლობაში არც მეცნიერებაში. სამართალდამცავ ორგანოებში მომუშავე გა-
მოკითხულ იურისტთა 100% თვლის, რომ დანაშაულებრივი ქმედობისა და მისი
განხორციელების ხასიათი, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის მე-17 მუხ-
ლის მე-4 ნაწილით, გულისხმობს ფაქტიურად განხორციელებული დანაშაუ-
ლებრივი ქმედობის სიმძიმეს, ბოროტებისა და დანაშაულებრივი შედეგისაკენ
სწრაფვის სიძლიერეს, მოსალოდნელი შედეგის სიმძიმეს, დანაშაულის ჩადენის
მიზეზებსა და ვითარებას, სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ
სასჯელის დანიშვნისათვის. ჩვენი აზრით, ეს კანონის არსის სწორი გაგებაა. რაც
შეეხება დანაშაულებრივი ქმედობის საშიშროებისა და მისი განხორციელების
ხარისხს, გამოკითხულთა 100%-მა განაცხადა რომ სსკ-ის მე-17 მუხლის მე-4
ნაწილში ასეთი ცნების არსებობის შესახებ არც ჰქონიათ მსჯელობა, რადგანაც
ქმედობის კვალიფიკაციისათვის მას მნიშვნელობა არა აქვს. სისხლის სამართ-
ლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ყოველთვის
არც სასამართლოები მიუთითებენ განაჩენში დანაშაულის ჩადენის მცდე-
ლობისათვის სასჯელის დანიშვნისას ქმედობის საშიშროებისა და მისი განხორ-
ციელების ხარისხის მხედველობაში მიღების შესახებ. სასამართლომ თუ მიუ-
თითა განაჩენში აღნიშნული ხარისხის მხედველობაში მიღების შესახებ, მაშინ
საჭირო იქნება მითითება იმაზეც, თუ რაში გამოიხატება ეს ხარისხი კონკრე-
ტულად, მაგრამ ამის საშუალება სასამართლოს არა აქვს, რადგანაც ხარისხი,
რომელზეც ლაპარაკია, არ არსებობს. ამიტომ თუ სასამართლო შეეცადა ამ
ხარისხზე დაყრდნობას, ის იძულებული იქნება ქმედობის ხარისხში ჩადოს მისი
ხასიათის შინაარსი, რაც სწორი არ იქნება.

ზემოთ ჩამოთვლილი უზუსტობების გამოსწორების მიზნით, მიზანშეწონი-
ლად მიგვაჩნია სსკ-ის მე-17 მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილები ჩამოყალიბდეს
შემდეგნაირად:

მ. 17. 5. 2. დანაშაულის ჩადენის მცდელობად ჩაითვლება განზრახ მოქ-
მედება, უშუალოდ მიმართული დანაშაულის განხორციელებისაკენ, თუ ამასთან
განზრახვა ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი დანაშაულის ჩადენის ნებისაგან და-
მოუკიდებელი მიზეზების გამო.

მ. 17. 5. 4. სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო მხედველობაში
იღებს განსასჯელის მიერ ჩადენილი მოქმედების საზოგადოებრივ საშიშროე-
ბასა და დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელების ხასიათს, ფაქტიურად
ჩადენილი ქმედობის სიმძიმესა და იმ მიზეზებს, რომელთა გამო დანაშაულებ-
რივი განზრახვა ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა მიზანშეწონილად მიგვაჩნია აგრეთვე შემო-
თავაზებულ რეკომენდაციაში სსკ-ის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის ახლებურად
ჩამოყალიბების შესახებ, სიტყვა „მოქმედება“ შეიცვალოს სიტყვით „ქმედო-
ბა“. შემოთავაზებულ რეკომენდაციაში დაცულია კანონის მოთხოვნა იმის შე-

სახებ, რომ დანაშაულის ჩადენის მცდელობა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მოქმედებით, ე. ი. მხოლოდ ქცევის აქტიურ ფორმაში. მაგრამ ასეთი შეზღუდვა ავიწროებს, ამცირებს კანონის დაცვითუნარიანობას, რადგანაც იგი არ მოიცავს დანაშაულის ჩადენის მცდელობას უმოქმედობით, მაშინ, როდესაც პრაქტიკულად შეიძლება ადგილი ექნეს დანაშაულის ჩადენის მცდელობას უმოქმედობითაც. მაგალითად, დედას სურს ახალშობილი შვილის სიკვდილი და ამიტომ არ კვებავს მას; ექიმი არ უწევს დახმარებას ავადმყოფს ამ უკანასკნელის სიკვდილის დადგომის მიზნით; თანამდებობის პირი არ ასრულებს მის სამსახურებრივ მოვალეობას სახელმწიფოსათვის ან საზოგადოებისათვის მძიმე შედეგის დადგომის მიზნით, მაგრამ არც ერთ ამ ქმედობას, ვთქვათ, შედეგი არ მოჰყვა აღნიშნულ პირთა ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ასეთ შემთხვევებში აღნიშნულმა პირებმა პასუხი უნდა აგონ შესაბამისი დანაშაულის ჩადენის მცდელობისათვის, მაგრამ ამის შესაძლებლობას გამორიცხავს მოქმედი სსკ-ის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილში გათვალისწინებული ცნება, რომელიც დანაშაულის მცდელობად თვლის მხოლოდ მოქმედებას, ამიტომ საკითხის მოგვარებისა და კანონის ეფექტიანობის ამაღლებისათვის საკმარისია მითითებული მუხლის ნახსენები ნაწილის ჩამოყალიბების შესახებ შემოთავაზებულ რეკომენდაციაში სიტყვა „მოქმედება“ შეიცვალოს სიტყვით „ქმედობა“ დანარჩენი დარჩეს, როგორც შემოთავაზებულია და ეს საკითხი მოგვარებული იქნება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნოს დანაშაულის განვითარების სტადიების ურთიერთ კავშირიც. საერთოდ ცნობილია, რომ წინასწარი განზრახვით დანაშაულის ჩადენა იწყება ე. წ. შიშველი განზრახვიდან, რომელიც სისრულეში მოყვანის გარეშე ზიანს არ აყენებს კანონით დაცულ ობიექტებს; დანაშაულებრივ ქმედობას არ წარმოადგენს და ამიტომ არ ისჯება. ამის შემდეგ, ჩვენი აზრით, შეიძლება ადგილი ექნეს დანაშაულის ჩადენისათვის მომზადებას, რაც გამოიხატება მის ჩასადენად საშუალების ან იარაღის გამოძებნაში, მომარჯვებაში ან სხვაგვარი პირობების განზრახ შექმნაში დანაშაულის ჩასადენად.

კანონის (სსკ მე-17 მუხლ. 1 ნაწ.) ასეთმა მოთხოვნამ წარმოშვა აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს დანაშაულის ჩასადენად მომზადება არ შედის იმ დანაშაულებრივ ქმედობაში რომლის ჩასადენადაც მოხდა მზადება. თითქოს მზადება, მოიცავს ისეთ ქმედობას, რომელიც არ შედის, როგორც ამ მოსაზრების ავტორები ამტკიცებენ, იმ დანაშაულის ობიექტურ მხარეში, რომლის მომზადებასაც ჰქონდა ადგილი¹. ჩვენი აზრით, ეს დანაშაულის მომზადებისათვის პასუხისმგებლობის უსაფუძვლოდ ავტონომიზირების მცდელობაა. საერთოდ სისხლის სამართლის კანონის ცალკეული მოთხოვნებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ავტორთა მოსაზრება, რომელიც ჩვენს მოსაზრებას ეწინააღმდეგება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, სწორად მოგვეჩვენება. სსკ-ის მე-17 მუხლის პირველი ნაწილიდან ასეთი დასკვნა მართლაც შეიძლება გაკეთდეს. ასეთ მოსაზრებაზე იღვა თ. წერეთელიც². მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ ნორმის სხვა ნორმებისაგან იზოლირებულად არც გაგება და არც გამოყე-

¹ ნ. ვ. ლიასი, დანაშაულის ჩადენის სტადიები, წიგნში „საბჭოთა სისხლის სამართლის კურსი, ლენინგრადის უნივერსიტეტი, 68, ტ. 1, გვ. 539. (რუსულ ენაზე). ასეთ აზრს მხარს უჭერს სხვებიც.

² საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბილისი, 1976, გვ. 114.

ნება არ შეიძლება. შეიძლება მომზადდეს ერთი ან რამოდენიმე კონკრეტული დანაშაულის ჩადენა. ყველა შემთხვევაში მოქმედება, რომელიც ხორციელდება დანაშაულის ჩადენის მომზადების ფარგლებში მისი ჩადენის მიზნით, დაკავშირებულია იმ კონკრეტულ დანაშაულთან, რომლის ჩასადენადაც ამ მოქმედებას იღენს სუბიექტი. დაკავშირება ხდება სუბიექტური მხარით — განზრახვით, (მიზნით, მოტივით) და მოქმედებით. მაგალითად, სახელმწიფო ქონების მითვისების მიზნით, მატერიალურად პასუხისმგებელმა პირმა მოსპო ყველა საბუთი მის მიერ ამ ქონების მიღების შესახებ, მაგრამ შემდგომ უარი თქვა ქონების გატაცებაზე და დატოვა ქონება სახელმწიფოს მფლობელობაში. ასეთ შემთხვევაში მან შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ საბუთების განადგურებისათვის, თუ იქნა შესაძლებლობა მისი დანაშაულად შეფასებისა, ხოლო ქონების მითვისების ნაწილში საქმე უნდა შეწყდეს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ნებაყოფლობით ხელის აღების მოტივით (სსკ მე-18 მუხლი).

ახლა დავუშვათ ამავე მაგალითის მეორე ვარიანტი. ვთქვათ, მოქმედება შეწყდა აღნიშნული პირისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ასეთ შემთხვევაში, რადგანაც ჩადენილი ქმედობა მიმართული იყო არა უშუალოდ ქონების მითვისებისაკენ, არამედ მის ჩასადენად პირობის შექმნისაკენ, პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს დანაშაულის ჩასადენად მომზადებისათვის.

დავუშვათ მესამე ვარიანტი. ვთქვათ, პირმა, რომელმაც მოსპო საბუთები, მითვისა სახელმწიფო ქონება.

ახლა გავანალიზოთ ქმედობა. რით დაიწყო აღნიშნული დანაშაული? პასუხი უნდა იყოს საბუთების განადგურებით, რადგანაც საბუთები ამ მიზნით იყო განადგურებული. სხვანაირი პასუხი არ იქნება სწორი.

ახლა უნდა ვუბასუხოთ კითხვას: რით დაიწყო აღნიშნული ქმედობა პირველ ორ შემთხვევაში?

პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი. საბუთების განადგურებით.

თქმული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მიუხედავად იმისა თუ რით დამთავრდება დანაშაულებრივი ქმედობა (მზადებით, მცდელობით, ბოლომდე მიყვანაზე ნებაყოფლობით ხელის აღებით, თუ დამთავრებული დანაშაულით) მისი შესრულება იწყება ერთი წერტილიდან და ერთ მომენტში. ოღონდ განვითარების პროცესში ქმედობამ შეიძლება განიცადოს ცვლილებები ან გარდატეხა და დამთავრდეს სხვადასხვა შედეგით. ქმედობა თუ დამთავრდა დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ნებაყოფლობით ხელის აღებით ამ დანაშაულის ჩადენის მომზადებისა და მცდელობისათვის პასუხისმგებლობაზე ლაპარაკი არ შეიძლება, რადგანაც სსკ მე-18 მუხლი მიუთითებს: „იმ პირს, ვინც ნებაყოფლობით ხელს აიღებს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტიურად მის მიერ ჩადენილი ქმედობა შეიცავს სხვა დანაშაულის შემადგენლობას“. არც მომზადებისა და არც მცდელობის შემთხვევაში დანაშაული ბოლომდე არ არის მიყვანილი. ამიტომ თუ ეს მოხდა ნებაყოფლობით, პასუხისმგებლობის საკითხი მოხსნილია. თუ ეს მოხდა იძულებით, მაგრამ ქმედობა მიმართული იყო დანაშაულის ჩადენის პირობების შესაქმნელად, სახეზეა დანაშაულის ჩასადენად მომზადება, ხოლო თუ ეს ქმედობა მიმართული იყო დანაშაულის უშუალოდ გასახორციელებლად, სახეზეა დანაშაულის ჩადენის მცდელობა. მაგრამ აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს წინააღმდეგობა სსკ მე-17 და მე-18 მუხლებს შორის. მე-17 მუხლი, განსაზღვრავს რა დანაშაულის ჩადენისათვის მზადებასა და მისი

ჩადენის მცდელობას, ითვალისწინებს ამ ქმედობებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ნებისმიერ შემთხვევაში. მე-18 მუხლი გამორიცხავს ასეთ პასუხისმგებლობას დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში. უფრო რთული გადასაწყვეტია საკითხი, როცა საქმე გვაქვს დანაშაულის ჩადენის მცდელობასთან. მოქმედებას თუ არ მოჰყვა დანაშაულებრივი შედეგი მოქმედი პირის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო სახეზეა დასჯადი ქმედობა — მცდელობა, თუ იგივე პირობებში, აღნიშნული პირის ნებიდან გამომდინარე არ დადგა ასეთი შედეგი, სახეზეა ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, რაც გამორიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. ამრიგად საქმე გვაქვს ალტერნატივასთან. მცდელობა გამორიცხავს ნებაყოფლობით ხელის აღებას და პირიქით, თუ ნებაყოფლობით ხელის აღება სახეზეა მცდელობის არსებობა იმავე ქმედობაში გამორიცხულია. შესაძლებელია მხოლოდ რეალურად არსებული დასჯადი ქმედობის ჩადენისათვის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით.

ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია სსკ მე-17 მუხლის შესამე ნაწილს მის დასაწყისში დაემატოს სიტყვები: თუ სახეზე არ არის დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ნებაყოფლობით ხელის აღება... (შემდგომ როგორც ტექსტში).

ამით კანონი დაიხვეწება და გასაგები გახდება.

А. КВАШИЛАВА, Л. КВАШИЛАВА

Резюме

Приготовление к преступлению и покушение на преступление согласно ч. 3 ст. 17 УПК Республики Грузия является в уголовном порядке наказуемыми деяниями. Ч. 1 ст. 18 того же УК при добровольном отказе от доведения преступления до конца уголовную ответственность предусматривает лишь в том случае, если фактически совершенное деяние содержит состав иного преступления. Ни приготовление к преступлению, ни покушение на него оконченными преступлениями не являются. Следовательно, добровольный отказ, исключаящий уголовную ответственность, может иметь место после подготовки покушения и даже после повторного покушения, но при условии, если преступление не было доведено до конца добровольно. Закон устанавливает момент, после которого добровольность отказа теряет силу. Это есть момент доведения преступления до конца, т. е. достижение преступного результата. В любой стадии исполнения до его окончания добровольный отказ (ст. 18 УК) устраняет уголовную ответственность. Поэтому для устранения коллизий между ч. 3 ст. 17 и ч. 1 ст. 18 УК РГ целесообразно в начале ч. 3 ст. 17 УК добавить слова: «При отсутствии добровольного отказа от доведения преступления до конца», а остальную часть оставить как есть: «Наказание за приготовление к преступлению и за покушение на преступление назначается по закону, предусматривающему ответственность за данное преступление».

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლისა და პროცესის განყოფილებამ

მარიამ როზაქიძე

ხულიგნობის კვალიფიკაციის საკითხები
სასამართლო პრაქტიკაში

(გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა)

8. სასამართლო პრაქტიკის თანახმად ხულიგნობა, რომელსაც თან ახლავს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა, ექვემდებარება კვალიფიკაციას დანაშაულთა ერთობლიობით გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის სსკ 228-ე და 241 მ მუხლით.

მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან: მარიამიძე მთვრალი მართავდა ავტომანქანა ზილ-130-ს მან დანახა მის წინ მოძრავი ავტომანქანა გაზ-53, რომლითაც პიონერთა ბანაკის თანამშრომლებს მიჰქონდათ ბავშვებისათვის საზამთრო, დაეწია და მოსთხოვა მათ საზამთრო. უარის მიღების შემდეგ, მან დაიწყო გინება, ხოლო შემდეგ კი დიდი სიჩქარით გაედევნა უკან, თანაც გზას უჭრიდა ხან მარჯვენა, ხან მარცხენა მხრიდან და ცდილობდა გასწრებას. ასეთი ხულიგნური მოქმედებების შედეგად, მორიგი გასწრების მცდელობისას მარიამიძის მანქანა დაეჯახა გაზ-53-ს, რომელიც გზიდან გადავარდა, ხოლო ძარაზე მჯდომ ორ მგზავრს მიაღდა სხეულის ნაკლებად მძიმე და მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოშლით.

ჩვენი აზრით, აქ ხულიგნობად შეიძლება განხილულ იქნეს ის მომენტი, როდესაც მთვრალი მარიამიძე აგინებდა პიონერთა ბანაკის თანამშრომლებს, რაც შეეხება მოძრაობის წესის დარღვევით მანქანის გასწრების ფაქტებს, ეს სსკ-ის 241-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულია და არა ხულიგნობა.

9. ბოროტი ხულიგნობის გაკვალიფიცირებული ნიშანია უაღრესად დიდი ცინიზმი (განსაზღვრება).

უაღრესად დიდი ცინიზმის ნიშნით ჩადენილ ხულიგნურ მოქმედებად ითვლება ისეთი ქცევა, რომელიც ხასიათდება უმაღლესი ხარისხის ურცხვი, თავხედი მოქცევით საზოგადოებაში და განმსჭვალულია მორალისა და ზნეობრიობის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების უგულებელყოფით¹³.

უაღრესად დიდი ცინიზმი, დაადგინა სასამართლომ გალუსტოვის მოქმედებაში, რომელმაც მთვრალმა ტანთ გაიხადა, სრულიად გაშიშვლდა და ასეთი ფორმით გავიდა მრავალბინიანი სახლის საერთო სარგებლობის დერეფანში, სადაც იმყოფებოდნენ ქალები და ბავშვები და მათი მისამართით უცენზურო სიტყვებით დაიწყო გინება.

ბოროტ ხულიგნობად, რომელიც გამოირჩევა უაღრესად დიდი ცინიზმით, ითვლება ისეთი ხულიგნური მოქმედება, რასაც თან ახლავს ზნეობრიო-

¹³ სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებათა კრებული, 1924—1986 წ. გვ. 264.

ბის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების უგულებელყოფა. მაგალითად: უსირცხვილობის გამოვლინებით, ავადმოყვების, მოხუცებულებისა და უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირების აბუჩად აგდებით, ბოროტი დაცივნით და სხვ...¹⁴

აღნიშნულ საკითხზე განმარტება მოცემულია აგრეთვე ბ. ფურცხვანიძის სახელმძღვანელოშიც. მასში ნათქვამია, რომ ბოროტი ხულიგნობა, რომელიც თავისი შინაარსით გამოირჩევა უაღრესად დიდი ცინიზმით, ნიშნავს ხულიგნურ მოქმედებას დაკავშირებულს დაზარალებულისადმი უხეშ დაცივნასთან, აბუჩად აგდებასა და საზოგადოების აღმამფოთებელ სხვა უნამუსო ქცევებთან, (მაგალითად, გარყვნილი მოქმედებების საჯაროდ შესრულება)¹⁵.

10. აუცილებელია აგრეთვე განსაკუთრებული თავხედობის ცნების განმარტება ხულიგნობის დროს, რადგან იგი ბოროტი ხულიგნობის მაკვალიფიცირებელ მეორე ნიშანს წარმოადგენს.

განსაკუთრებული თავხედობით ჩადენილად გვევლინება ისეთი ხულიგნური მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია ადამიანისადმი მეტისმეტად შეურაცხყოფელ, გამომწვევ და უხეშ დამოკიდებულებასთან, აგრეთვე მოქმედება, დაკავშირებული საზოგადოებრივი წესრიგის ხანგრძლივ და შეუპოვარ, შეუწყვეტელ დარღვევებთან, ქონების განადგურებასთან, კულტურულ-მასობრივი და საზოგადოებრივი ღონისძიებების ჩაშლასთან¹⁶.

აღნიშნული საკითხი განმარტა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმმა და მიუთითა, რომ განსაკუთრებული თავხედობით ჩადენილ ბოროტ ხულიგნობად შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივი წესრიგის ისეთი დარღვევა რომელიც გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას და რომელსაც თან ახლავს მაგალითად: ძალადობა, სხეულის დაზიანება, ადამიანთა მასხრად აგდება, საზოგადოებრივი წესრიგის შეუწყვეტელი ხანგრძლივი და შეუპოვარი დარღვევა, ქონების განადგურება, მასობრივი ღონისძიებების ჩაშლა, წარმოება-დაწესებულებათა ნორმალური მოღვაწეობის დროებითი შეწყვეტა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხანმოკლე მოშლა და სხვა.

სისხლის სამართლის თეორიაში განსაკუთრებული თავხედობით ჩადენილი ხულიგნობა განმარტებულია როგორც ისეთი ხულიგნობა, რომელიც ახირებით არ იქნა შეწყვეტილი, მიუხედავად საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ორგანოს გაფრთხილებისა ან ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ ან მრავალ ადამიანთა თვალწინ (მაგ. საყოველთაო სახალხო დღესასწაულის დროს), ან რასაც თან მოჰყვა ქონების განადგურება და ა. შ.¹⁷

11. ცემასთან დაკავშირებული ხულიგნური მოქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც ბოროტი ხულიგნობა განსაკუთრებული თავხედობის ნიშნით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ძალადობამ გამოიწვია სხეულის დაზიანება.

¹⁴ სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებათა კრებული, 1924—1986 წ., გვ. 706, პ. 16.

¹⁵ ბ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართალი; 1966 წ., გვ. 427.

¹⁶ სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წ. 16 ოქტომბრის დადგენილება № 9 და რსფსრ სსკ-ის კომენტარები, 1985 წ., გვ. 422, პ. 14.

¹⁷ გ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 1966 წ., გვ. 427.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირად ჩხუბში მონაწილეობის თვით ფაქტს, რომლის დროსაც ჩადენილია მკვლელობა, აკვალიფიცირებენ როგორც მკვლელობაში თანამონაწილეობას, არადა სახეზეა ბოროტი ხულიგნობა ძალადობით, რომელმაც სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება გამოიწვია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ მსჯავრი დასდო ი. ადამიას საქართველოს სსკ-ის მე-19 და 104-ე მუხლის II პუნქტით, ხულიგნური ქვენაგრძნობით განზრახ მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის.

საკასაციო ინსტანციამ აღნიშნული განაჩენი გააუქმა და მისი მოქმედება გადააკვალიფიცირა საქართველოს სსრ სსკ-ის 228-ე მუხ. II ნაწილზე (ბოროტი ხულიგნობა).

ი. ადამია დამნაშავედ სცნეს მასში, რომ ის ხელს უწყობდა ძმის ლ. ადამიას მათი სიძის ა. ლაშხის მკვლელობაში.

საკასაციო ინსტანციამ დაადგინა, რომ ძმებმა მონაწილეობა მიიღეს ჩხუბში, ერთად გალახეს სიძე. ცემის პროცესში ლ. ადამიამ მიაყენა დაზარალებულს სასიკვდილო ჭრილობა.

ი. ადამიას ჩხუბში მონაწილეობის ფაქტი, შეფასდა როგორც საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა, რაც შეეხება მკვლელობაში თანამონაწილეობას, საქმით იგი არ დადგინდა შემდეგი საფუძვლების გამო: ი. და ლ. ადამიებს შორის არ ყოფილა შეთანხმება მკვლელობის ჩადენისათვის, ი. ადამია შევიდა კაფეში უფრო ადრე, ვიდრე მისი ძმა, მსჯავრდებულს თავად არ ჰქონია არავითარი იარაღი და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა რომ მისი ძმა ჩხუბის დროს დანას გამოიყენებდა და მოკლავდა ა. ლაშხს. მკვლელობაში თანამონაწილეობა არ შეიძლება ბრალად წაეყენებინათ ი. ადამიასთვის, ამიტომ მისი პასუხისმგებლობა განისაზღვრა მხოლოდ საქართველოს სსკ 228-ე მუხ. II ნაწილით¹⁸.

12. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობის შემსრულებელი ხელისუფლების ან საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისათვის წინააღმდეგობის გაწევა ბოროტი ხულიგნობის კიდევ ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანია.

თუ ხულიგნური მოქმედება უკავშირდება მილიციის მუშაკის, სახალხო რაზმელის, ხელისუფლების წარმომადგენლისთვის წინააღმდეგობის გაწევას, რომლებიც ასრულებდნენ მოვალეობას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დარგში ან წინააღმდეგობას მოქალაქეებისადმი, რომელნიც ხულიგნური მოქმედების აღკვეთას ცდილობდნენ, მათ შორის წინააღმდეგობას ძალადობის გამოყენებით ან მისი გამოყენების მუქარით ჩადენილი ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 228-ე მუხლის II ნაწილით და დამატებით კვალიფიკაციას სხვა მუხლებით არ საჭიროებს.

აღნიშნულ საკითხზე სსრკ უმაღლესი სასამართლო პლენუმმა 1972 წ. 16 ოქტომბრის დადგენილებით განმარტა, რომ... „ხულიგნური მოქმედებების აღმკვეთი პირისთვის წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში არ მოიცავს ხულიგნობის შემადგენლობას, როდესაც ამ დროს გამოყენებულ ძალადობით ბრალეული პირი სხვა უფრო მძიმე დანაშაულს ჩადის“¹⁹.

¹⁸ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის 1965 წ. 22 აპრილის გადაწყვეტილება.

¹⁹ სსრკ-ის პლენუმის დადგენილებათა კრებული 1924—1986 წ., გვ. 706, პ. 17.

3. „მაცნე“, სამართალი, 1993, 2

13. წინააღმდეგობა, გაწეული ხულიგნური მოქმედების შეწყვეტის შემდეგ, დამნაშავეს შემდგომი დაკავების დროს არ უნდა განიხილებოდეს როგორც ხულიგნობის მაკვალიფიცირებელი გარემოება და ექვემდებარება უკანასკნელთან ერთობლიობით კვალიფიკაციას.

წვრილმანი ხულიგნობა, რომელიც იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობის შესრულებისას მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის, აგრეთვე წვრილმანი ხულიგნობის აღმკვეთი მოქალაქისათვის წინააღმდეგობის გაწევას უკავშირდება. არ უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს რესპუბლიკის სსკ-ის 228-ე მუხ. II ნაწილით.

ასეთი მოქმედებები, გაწეული წინააღმდეგობის ხასიათის მიხედვით, უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით.

14. როგორ წყდება ხულიგნობის აღმკვეთი მოქალაქეებისათვის მიყენებული ზიანის კვალიფიკაციის საკითხი?

თუ წინააღმდეგობის გაწევისას გამოყენებული ძალადობის შედეგად ხულიგნური მოქმედების აღმკვეთი პირი, მძიმედ დაზავდება, ან მოხდება სხვა რომელიმე მძიმე უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენა, ვიდრე ხულიგნობაა, მაშინ ამდაგვარ შემთხვევაში დამნაშავეს მოქმედება დაკვალიფიცირდება ჩადენილ დანაშაულთან ერთობლიობით (მაგ. საქართველოს რესპუბლიკის სსკ-ის 228-ე მუხლითა და 110-ე მუხლით).

15. ხულიგნური მოქმედების შეწყვეტის შემდეგ გაწეული წინააღმდეგობა მაგალითად დამნაშავეს დაკავების ან შინაგან საქმეთა ორგანოში მისი წაყვანის პროცესში, არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ხულიგნობის მაკვალიფიცირებელი გარემოება, ასეთ შემთხვევაში ქმედობა ექვემდებარება კვალიფიკაციას ხულიგნობასთან ერთობლიობით.

16. წვრილმანი ხულიგნობის ჩადენის პროცესში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობის შემსრულებელ პირთათვის ან წვრილმანი ხულიგნური მოქმედების აღმკვეთი სხვა მოქალაქისათვის გაწეული წინააღმდეგობა არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 228-ე მუხ. II ნაწილით, ვინაიდან მითითებულ ნორმაში საუბარია სისხლის სამართლის წესით დასჯად ხულიგნობაზე და არა წვრილმან ხულიგნობაზე, რომელიც ისჯება ადმინისტრაციული წესით²⁰.

17. ბოროტი ხულიგნობის შემადგენლობის წარმომქმნელ ნიშანთვისებათა რიცხვში მითითებულია ისეთიც, როგორცაა წინააღმდეგობის გაწევა სხვა მოქალაქისათვის, რომელიც ხულიგნური მოქმედების აღკვეთას ცდილობდა. წინააღმდეგობა შეიძლება გამოიხატოს დარტყმის, ცემის, სხეულის მსუბუქი და ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენებით დამნაშავეს მიერ. დამორჩილების სურვილის უქონლობა, ანდა ის, რომ იგი არ რეაგირებს მოქალაქის შენიშვნებზე, არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც წინააღმდეგობა²¹.

18. ხულიგნური მოქმედების აღკვეთა — ეს არის მოქალაქეთა აქტიური ჩარევა, მიმართული ხულიგნობის შეწყვეტაზე. თუ ხულიგნური მოქმედებების აღკვეთის პროცესში მოქალაქე მიაყენებს დამნაშავეს ზიანს, მისი მოქმედ-

²⁰ რსფსრ სსკ-ის კომენტარები, 1985 წ., გვ. 423, პ. პ. 20—21.

²¹ რსფსრ სსკ-ის კომენტარები, 1985 წ., გვ. 23, პ. პ. 20—21.

ბები მართლზომიერია და არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას²².

19. ხულიგნობის საქმეთა განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს ადრე ნასამართლობას, როგორც ბოროტი ხულიგნობის მაღალკვალიფიცირებულ ნიშანს.

რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები ასე წყვეტს ამ საკითხს: „ბოროტ ხულიგნობად ითვლება მოქმედება თუ იგი ჩადენილია იმ პირის მიერ, რომელიც ადრე იყო ნასამართლვეი ხულიგნობისათვის სსკ 206-ე მუხ. რომელიმე ნაწილით, თუ ეს ნასამართლეობა არ არის გაქარწყლებული კანონით დადგენილი წესით“²³.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1979 წლის 30 ივლისის № 8 დადგენილებაშიც მითითებულია, რომ: ბოროტი ხულიგნობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ამავე დანაშაულისათვის წარსული ნასამართლეობის არსებობა იმ პირობით, რომ ნასამართლობა პირს არა აქვს მოხსნილი, ან გაქარწყლებული კანონით დადგენილი წესით²⁴.

როგორც მარტივი, ისე ბოროტი ხულიგნობა საქართველოს რესპუბლიკის სსკ 228 მუხლის მესამე ნაწილით კვალიფიცირდება „...თუ იგი ჩადენილია ისე, რომ იხმარეს ან სცადეს ეხმარათ ცეცხლსასროლი იარაღი, დანა, კასტეტი ან სხვა ცივი იარაღი, ასევე სხეულის დასაზიანებლად სპეციალურად მომარჯვებული სხვა საგანი“.

ხულიგნობის კვალიფიკაციის დროს გართულებულია და ხშირად სრულიად შეუძლებელი ხდება „გამოყენებისა“ და „გამოყენების ცდის“ დადგენა. საგულისხმოა, რომ ხულიგნობის კვალიფიკაციისათვის თითოეულ ამ მომენტს დამოუკიდებელი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნებისა და მისი ქცევის საზოგადოებრივი საშიშროების, მართლწინააღმდეგობებისა და ბრალეულობის შესაფასებლად.

კანონმდებელი აწესებს რა ცეცხლსასროლი იარაღის, დანის, ან სხვაგვარი ცივი იარაღის, აგრეთვე სხეულის დასაზიანებლად სპეციალურად მომარჯვებული სხვა საგნის გამოყენებით ჩადენილი ბოროტი ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობას, არ მოითხოვს მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ფაქტიური ზიანის მიყენებას, საკმარისია მხოლოდ მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რეალური საფრთხის შექმნა²⁵.

ხულიგნობის ჩადენისას ნებისმიერი იარაღის გამოყენებას ან გამოყენების ცდას აქვს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა, რომელიც სასამართლოს უფლებას აძლევს პირის მოქმედება განსაზღვროს, როგორც ბოროტი ხულიგნობა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1974 წლის № 11 ბიულეტენი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას განმარტავს შემდეგნაირად: „...გამოყენება, როგორც ყოველთვის, გასროლის ან გასროლათა წარმოებაში გამოიხატება, რომელიც მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის რეალურ საფრთხეს ქმნის“.

²² სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წ. 26 ივლისის ბრძანებულება, პ. 16 — „ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“, № 30, გვ. 595.

²³ რსფსრ სსკ კომენტარები, 1985 წ., გვ. 423, პ.პ. 20—21.

²⁴ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1979 წ. 30/VII № 8 დადგენილება.

²⁵ რსფსრ სსკ კომენტარები, 1985 წ., გვ. 423, პ. 26.

ხულიგნური მოქმედების პერიოდში ფუჭი ვაზნების სროლა, ჰაერში გასროლა, ფრინველებისა და ცხოველების, აგრეთვე სხვა საგნებისათვის სროლა არ შეიძლება ბრალდებული პირის მოქმედების საქ. რესპ. სსკ 228-ე მუხლის III ნაწილით კვალიფიკაციის საფუძველი გახდეს იმ შემთხვევაში, თუ ეს მოქმედება მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის რეალურ საფრთხეს არ ქმნის³⁷.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება კი ამ საკითხს ასე განმარტავს: „ხულიგნობისას სხეულის დასაზიანებლად ცეცხლსასროლი იარაღის, ნებისმიერი დანის, კასტეტის ან სხვაგვარი ცივი იარაღის, აგრეთვე სპეციალურად მომარჯვებული სხვა საგნების გამოყენება ან გამოყენების ცდა იმის საფუძველს წარმოადგენს, რომ დანაშაული დაკვალიფიცირდეს საქ. რესპუბლიკის სსკ 228-ე მუხლის III ნაწილით, არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე მათი დაზიანებით აყენებს ან ცდილობს მიაყენოს სხეულის დაზიანება, არამედ მაშინაც, როდესაც მითითებული საგნების გამოყენება ხულიგნურ მოქმედებათა პროცესში მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას რეალურ საფრთხეს უქმნის“.

სასამართლოებმა გულდასმით უნდა გამოიკვლიონ გარემოებები, თახაც მხედველობაში მიიღონ, რომ დამნაშავეს მოქმედება განსაზღვრულ შემთხვევაში შეიძლება შეიცავდეს ხულიგნობაზე უფრო მძიმე დანაშაულის ნიშნებს (მაგ. განზრახ მკვლელობა, სხეულის მძიმე დაზიანება და სხვა) ან პირიქით³⁸.

აღნიშნული საკითხის საილუსტრაციოდ მოვიტანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

ერთ-ერთი რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით რ. სააკოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქ. სსკ 228-ე მუხლის II ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ იმისათვის, რომ მუშაობდა რა ქ. თბილისის ხორცკომბინატის სასაკალო სამაქროში მუშად, მაშინ, როდესაც ცდილობდა მოეპარა სამაქროდან სამი კილოგრამი საქონლის ღვიძლი, მან ჩაიდინა ბოროტი ხულიგნობა — საჯაროდ ავინა დაცვის მუშაკებს, რომლებმაც იგი დააკავეს ქურდობისათვის, ფიზიკურად შეეხო ერთ-ერთ მათგანს, შემდეგ კი ჩექმის ყელიდან ამოიღო დანა, რომელსაც იგი სამუშაოს შესასრულებლად იყენებდა და დასარტყმელად გაიწია დაცვის მუშაკ ბესტაევზე.

წინასწარი გამოძიების მიერ რ. სააკოვის მოქმედება დაკვალიფიცირებული იქნა საქ. სსრ სსკ 228-ე მუხლის III ნაწილით იმ ნიშნის გათვალისწინებით, რომ მან ხულიგნობის დროს სცადა გამოეყენებინა დანა.

სახალხო სასამართლომ, მართალია დადასტურებულად მიიჩნია სააკოვის მიერ დანის გამოყენების ცდის ფაქტი, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში ის, რომ მას დანა წინასწარ კი არ ჰქონდა მომარჯვებული, არამედ საერთოდ ატარებდა სამუშაოს შესრულების დროს, ჩათვალა, რომ მისი მოქმედება არასწორად იყო დაკვალიფიცირებული საქ. სსრ სსკ 228-ე მუხლის III ნაწილით და გადააკვალიფიცირა იმავე მუხლის II ნაწილზე.

საკასაციო კოლეგიამ აღნიშნული განაჩენი ძალაში დატოვა უცვლელად.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ

³⁷ საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს 1986 წ. პლენუმის დადგენილება.

³⁸ საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს 1972 წ. 16 ოქტომბრის დადგენილება.

პროტესტი შეიტანა პრეზიდიუმში, რითაც მოითხოვა განაჩენისა და საკასაციო კოლეგიის განჩინების გაუქმება და საქმის სამსჯავრო სხდომის სტადიიდან არსებითად განსახილველად ამავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის დაქვემდებარება იმ მოტივით, რომ სასამართლომ არასწორად გადააკვალიფიცირა რ. სააკოვის მოქმედება საქ. სსრ სსკ 228-ე მუხლის III ნაწილიდან II ნაწილზე.

პრეზიდიუმმა ჩათვალა, რომ პროტესტი საფუძვლიანია და დააკმაყოფილა იგი იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ დანის (ისევე როგორც ცეცხლსასროლი იარაღის, კასტეტის ან სხვაგვარი ცივი იარაღის) გამოყენება ან გამოყენების ცდა ყოველთვის შეიცავს საქ. სსკ 228-ე მუხლის III ნაწილით გათვალისწინებულ შემადგენლობას იმისდა მიუხედავად სპეციალურად იყო იგი მომარჯვებული თუ არა, „ამიტომ, — ნათქვამია დადგენილებაში, — მიუხედავად იმისა, რომ სააკოვმა ხულიგნობის დროს სცადა გამოეყენებინა არა სპეციალურად მომარჯვებული დანა, არამედ დანა, რომელსაც იგი ატარებდა სამუშაოს შესრულების დროს, მისი მოქმედება შეიცავს 228-ე მუხლის III ნაწილის ნიშნებს.

შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეზიდიუმმა სასამართლოს განაჩენი და კოლეგიის განჩინება გააუქმა და საქმე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას გადასცა.

ჩვენი აზრით, რ. სააკოვის ქმედების აღნიშნული მუხლით კვალიფიკაცია მცდარია იმის გამო, რომ როგორც წინასწარმა გამოძიებამ, აგრეთვე სასამართლო ინსტანციებმაც, მართალია სწორად დაადგინეს ფაქტები, მაგრამ არასწორი იურიდიული შეფასება მისცეს მათ, რაც შემდგომში არასწორი განაჩენისა და განჩინების გამოტანის საფუძველი გახდა.

სააკოვის მოქმედება არ შეიძლება ხულიგნობად ჩათვლილიყო ხელყოფის ობიექტსა და, რაც მთავარია, ხულიგნური მოტივის არარსებობის გამო.

არავინ არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ რ. სააკოვმა ჩაიდინა ქურდობა და მხოლოდ მას შემდეგ აგინა დაცვის მუშაკებს და ბესტაევზე კი დანით გაიწია, როდესაც მათ სააკოვი დააკავეს ფაქტზე. ეს კი სხვა შემადგენლობის ფარგლებშია და ამდენად მოქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო არა როგორც ხულიგნობა, არამედ როგორც ქურდობა პლუს საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობა ე. ი. დანაშაულთა რეალური ერთობლიობით, კერძოდ საქ. სსკ 150-ე მუხლის I ნაწილითა და მე-17 209 მუხლით.

ხულიგნური მოქმედება, რომელიც უკავშირდება არა მხოლოდ ცივი იარაღის, არამედ ნებისმიერი სხვა დანის გამოყენებას ან გამოყენების ცდას, ყოველთვის კვალიფიცირდება საქ. რეს-ის სსკ 228-ე მუხლის III ნაწილით (რსფსრ სსკ 206-ე მუხლის III ნაწილით)³⁹. აღნიშნული განმარტების თანახმად, ნებისმიერი დანა, თუნდაც იგი არ იყოს ცივი იარაღი, შეიძლება ამ მუხლის III ნაწილით კვალიფიკაციის საფუძველი გახდეს, იმ შემთხვევაში, თუ პირი შეეცდება მის გამოყენებას ან გამოიყენებს მას სხეულის დასახიანებლად.

ამის მაგალითად მოვიტანოთ შემდეგი საქმე:

ერთ-ერთი რაიონის პირველი ინსტანციის სახალხო სასამართლოს განაჩენით, ი. პოპოვი დამნაშავედ იქნა ცნობილი რსფსრ სსკ 206-ე მუხლის III ნაწილით. ის დამნაშავედ სცნეს დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ბოროტი ხულიგნობისათვის. მთვრალმა პოპოვმა გალახა მეუღლე, ხოლო შემდეგ

³⁹ რსფსრ სს კოდექსის კომენტარები, 1985 წ., გვ. 424, პ. 30.

ანგარიშსწორების მუქარით ყელზე მიადო დანა არამჭრელი (ბლაგვი) მხრიდან, რითაც მისი სიცოცხლის ხელყოფის რეალური საფრთხე შექმნა.

კასაციური წესით განაჩენი შეიცვალა და პოპოვის მოქმედება გადაკვალიფიცირდა რსფსრ სსკ 206-ე მუხლის III ნაწილიდან II 'ნაწილზე.

პრეზიდენტმა ოლქის პროკურორის პროტესტი, რომელშიც დასმული იყო საკითხი საკასაციო განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი საკასაციო განხილვისათვის დაბრუნების შესახებ, არ დააკმაყოფილა.

რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ გენერალური პროკურორის მიერ წარდგენილი ანალოგიური შინაარსის პროტესტი დააკმაყოფილა და მიუთითა შემდეგი:

I ინსტანციის სასამართლომ სცნო, რომ ხულიგნური მოქმედების პროცესში მთვრალი პოპოვი ცდილობდა დანის გამოყენებას, რითაც დაზარალებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე შეუქმნა.

ცვლიდა რა განაჩენს, სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ ვინაიდან ი. პოპოვმა მეუღლეს დანა მიადო არა მჭრელი, არამედ ბლაგვი მხრიდან, მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო 206-ე მუხლის II ნაწილით.

პრეზიდენტმაც გაიზიარა კოლეგიის პოზიცია და მიუთითა, რომ ვინაიდან პოპოვმა დანის მიხვლელტაგ-მჭრელი თვისება არ გამოიყენა, ამიტომ მის მოქმედებაში დანის გამოყენების რეალური საფრთხე არ არსებობდა.

სასამართლო ინსტანციების ეს დასკვნები, — ნათქვამია დადგენილებაში, — მცდარია, რამეთუ სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის 16 ოქტომბრის დადგენილების 19 პ. თანახმად ხულიგნობისას „...როგორც დანის გამოყენება, აგრეთვე გამოყენების ცდა რსფსრ სსკ 206-ე მუხლის III ნაწილით კვალიფიკაციის საფუძველს წარმოადგენს არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე მისი დახმარებით აყენებს ან ცდილობს მიაყენოს სხეულის დაზიანება, არამედ მაშინაც, როცა მითითებული საგნების გამოყენება მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რეალურ საფრთხეს ქმნის“.

ვინაიდან, საკასაციო კოლეგიამ რეალური საფრთხის უარყოფი საწინააღმდეგო მტკიცებანი ვერ მოიტანა, ამიტომ ახალი საკასაციო განხილვისას კოლეგიას დაევალა, რსფსრ სსსკ 332 და 351 მუხლების მოთხოვნილებათა შესაბამისად, განაჩენის კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება.

ჩვენი აზრით, პრეზიდენტმა არსებითად სწორად გადაწყვიტა საკითხი.

არსებული კანონმდებლობა განსაზღვრავს ცივ იარაღად მიჩნეულ საგნებს. რსფსრ სს კომენტარებში განმარტებულია, რომ „ცოცხალი მიზნის დასამარცხებლად გამოყენებულ ცივ იარაღად მიჩნეულია ხანჯალი, ფინური დანა და სხვა საგნები. ცივი იარაღი, რომელიც სპეციალურად მომარჯვებული ან განკუთვნილია დანაშაულის ჩასადენად, შეიძლება იყოს: მჭრელი (ხმალი, ტისაკი, დანა და ა. შ.), მიხვლელტავი (ხიშტი, დაშნა, სტელეტი და ა. შ.) მიხვლელტაგ-მიხვავი (კასტეტი, კისტენი და ა. შ.).

მიეკუთვნება თუ არა საგანი ცივ იარაღს, შეიძლება გადაწყვიტოს მხოლოდ კრიმინალისტურმა ექსპერტიზამ.

ხულიგნობის ჩადენისას სხეულის დასაზიანებლად სხვადასხვა საგნების გამოყენება ან გამოყენების ცდა წარმოადგენს ქმედების საქ. სსრ სსკ 228-ე მუხლის III ნაწილით კვალიფიკაციის საფუძველს.

საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა განმარტა, რომ „სხეულის დასაზიანებლად სპეციალურად მომარჯვებულად უნდა ჩაითვალოს საგნები, რომლებიც დამნაშავემ აღნიშნული მიზნით წინასწარ ან ხულიგნური მოქმედების ჩადენის დროს მოიმარჯვა, აგრეთვე საგნები, რომლებიც თუმცა არ ყოფილა წინასწარ დამუშავებული, მაგრამ დამნაშავემ სპეციალურად მოიპზადა და თან ჰქონდა მას ამავე მიზნით“.

დამნაშაულის ადგილას აღმოჩენილი იმ საგნების გამოყენება ან გამოყენების ცდა, რომლებიც მას სპეციალურად არ მოუმარჯვებია სხეულის დასაზიანებლად, მათ რიცხვში საყოფაცხოვრებო-სამეურნეო დანიშნულების საგნები არ შეიძლება განიხილებოდეს მოქმედების საქ. სსრ სსკ 228-ე მუხლის III ნაწილით კვალიფიკაციის საფუძველად.

ამ მხრივ, საინტერესოა სასამართლო პრაქტიკის შემდეგი მაგალითი.

მოსკოვის ერთ-ერთი რაიონის სასამართლოს განაჩენით ი. პეროვი ცნობილ იქნა დამნაშავედ რსფსრ სსკ 206-ე მუხლის III ნაწილით. იგი დამნაშავედ სცნეს სხეულის დასაზიანებლად სპეციალურად მომარჯვებული საგნის გამოყენებით ჩადენილი, განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის: მთვრალმა ი. პეროვმა კარები შეამტვრია და შეიჭრა თანამოსახლე ლ. ლუკინას ბინაში, სადაც ის ყოფილ მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა. ი. პეროვმა დაინახა რა ისინი ორნი ოთახში, სცემა და აგინა ლ. ლუკინას, ზოლო მას შემდეგ რაც ეს უკანასკნელი, მისგან თავდაცვის მიზნით, ოთახიდან გავიდა, ხელი წამოავლო ტუმბოზე დადებულ სახრახნს, აქეთ-იქით იქნევდა და იმუქრებოდა ლ. ლუკინას მისამართით. კ. ლუკინის მოთხოვნას, შეეწყვიტა ასეთი მოქმედებები, იგი არ დაემორჩილა და მასაც ფეხი რამოდენიმეჯერ დაარტყა.

როდესაც კ. ლუკინი მის მიერ გამოძახებული მილიციის მუშაკების თანხლებით ოთახში დაბრუნდა, ი. პეროვი ხულიგნური ქვენაგრძნობით შეპყრობილი გაექანა მისკენ და რამოდენიმეჯერ ფეხი დაარტყა, რითაც მას ჯანმრთელობის მოუშლელად სხეულის მსუბუქი დაზიანება მიაყენა.

ქ. მოსკოვის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ განაჩენი ძალაში დატოვა.

რსფსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ პროტესტში დასვა საკითხი მსჯავრდებულის მოქმედების 206-ე მუხლის II ნაწილზე გადაკვალიფიცირების შესახებ, რომელიც პლენუმმა დააკმაყოფილა შემდეგი საფუძველების გამო:

მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებულმა ჩაიდინა ხულიგნობა და სხეულის დასაზიანებლად გამოიყენა საგანი კერძოდ, სახრახნი, მას იგი სპეციალურად მომარჯვებული არ ჰქონია, ვინაიდან ხულიგნობის პროცესში დამნაშაულის ადგილიდან აიღო. ამიტომ იგი არ შეიძლება გამხდარიყო ამ მოქმედების რსფსრ სსკ 206-ე მუხლის III ნაწილით კვალიფიკაციის საფუძველი.

აქედან გამომდინარე პრეზიდენტმა ზემოდ აღნიშნული მოქმედება გადააკვალიფიცირა სსკ 206-ე მუხლის II ნაწილზე⁴⁰.

სასამართლო ინსტანციის მიერ განსაზღვრული ამგვარ კვალიფიკაციას ვერ გავიზიარებთ იქიდან გამომდინარე, რომ ი. პეროვის მოქმედება ხელყოფის ობიექტით, განზრახვის შინაარსითა და მოტივით საგნებით განსხვავდება ხულიგნობისაგან. საქმის მასალებიდან გამომდინარე მსჯავრდებულს ჰქონდა ერთი მიზანი — შეურაცხყოფა მიეყენებინა თანამოსახლე ლ. ლუკინასათვის, რომე-

⁴⁰ სსრკ-ის უმაღლესი სასამართლო ბიულეტენი.

ლიც ყოფილ მეუღლესთან ერთად რჩებოდა ხოლმე ბინაში. რისთვისაც ბინის კარი შეუმტვრია, შევიდა შიგ და თავისი მიზანი განახორციელა კიდეც. ასეთ შემთხვევაში ქცევის შეფასება ხულიგნობად დაუშვებელია, რადგან მოქმედება, რომელიც ჩადენილია პირადი მოტივით, თუ ის არ უკავშირდება საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევას არ გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობას უნდა დაკვალიფიცირდეს კანონით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის.

ჩვენი აზრით, ი. პეროვის მოქმედება, რომელმაც დაზარალებულის სხეულის მსუბუქი დაზიანება გამოიწვია საესეებით თავსდება იმ შემადგენლობაში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სხეულის მსუბუქი დაზიანებისათვის, ამიტომ უნდა დაკვალიფიცირებულიყო რსფსრ სსკ 112-ე მუხლის I ნაწილით.

ცეცხლსასროლი იარაღის ან სხვა საგნების გამოყენებით ჩადენილი ხულიგნობისა და მკვლელობის ან მკვლელობის მცდელობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა უმნიშვნელოვანესი საკითხია ყველა ინსტანციის სასამართლოსათვის.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილ მკვლელობას განსაკუთრებით ბოროტ ხულიგნობად აკვალიფიცირებენ.

იმ შემთხვევაში, თუ განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობის ჩადენა ხდება ცეცხლსასროლი იარაღის ან სხვა საგნების გამოყენებით, აუცილებელია გაირკვეს დანაშაულის განზრახვა მკვლელობაზე ხომ არ იყო მიმართული, ვინაიდან ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილი მკვლელობა საქ. სსრ სსკ 104 მუხლის II პუნქტით (და რსფსრ სსკ 102-ე მუხლის II პუნქტით) კვალიფიკაციას ექვემდებარება.

საკითხის ნათელსაყოფად მოვიყვანოთ ისევ მაგალითი სასამართლოს პრაქტიკიდან.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ (I ინსტანციით) განიხილა ლ. ვოლკოვის საქმე. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქ. სსრ სსკ 104-ე მუხლის II და IV პუნქტებით. (იმისათვის, რომ ხულიგნური ქვენაგრძნობით ცდილობდა ლუკაშის მოკვლას და მოკლა ნინიძე) კერძოდ, ხულიგნური ქვენაგრძნობით ლუკაშის სიცოცხლეზე თავდასხმისა და ნინიძის მკვლელობისათვის.

როგორც განაჩენშია მითითებული, ნინიძის ბინაში აღნიშნავდნენ რადღესასწაულს, ნაბახუსევ ვოლკოვისა და ლუკაშს შორის პირადული მოტივით მოხდა შელაპარაკება, რომელსაც გამოექომაგა ნინიძე. ამის შემდეგ ჩხუბი ატყდა ვოლკოვისა და ნინიძეს შორის ახლა კი ლუკაში შეეცადა მათ გაშველებას, მაგრამ ამ დროს ვოლკოვმა ამოიღო დანა და მარჯვენა მხრის ნაწილში დაარტყა ლუკაშს, რომელიც თავდამსხმელს გაექცა ოთახიდან. მსჯავრდებული გაეკიდა მას, მაგრამ გზა გადაულობა ნინიძემ, რომელიც მისი მსხვერპლი აღმოჩნდა. ვოლკოვმა მას გულის არეში მიაყენა სჭრილობა, რომლისგანაც იგი ადგილზე გარდაიცვალა.

სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ პროტესტი სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიაში შეიტანა, რომელშიც დააყენა საკითხი ვოლკოვის მიმართ გამოტანილი განაჩენის ცვლილებისა და მისი მოქ-

მედების საქ. სსრ სსკ 104 მუხლის II და IV პუნქტებიდან 228-ე მუხლის II ნაწილისა და 104-ე მუხლის II პუნქტზე გადაკვალიფიცირების შესახებ.

კოლეგიამ დააკმაყოფილა პროტესტი შემდეგი საფუძვლით: ვოლკოვმა ლუკაშის მკვლელობის მცდელობაში თავი არ სცნო დამნაშავედ. მოწმეთა ჩვენებიდან დადგინდა, რომ ვოლკოვს ლუკაშის მკვლელობის განზრახვა არ ჰქონია. განზრახვის უქონლობაზე ის გარემოებაც მეტყველებს, რომ ლუკაში, რომელიც მასთან ახლოს იდგა, მხოლოდ მსუბუქად დაიჭრა მარჯვენა მხარში, და მიიღო სხეულის მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად, ამგვარად, დაზიანების ხარისხი და მსჯავრდებულის მოქმედება წარმოადგენს ისეთს, რომელსაც მისთვის გაცნობიერებულად არ შეეძლო დაზარალებულის სიკვდილი გამოეწვია და მკვლელობის მცდელობაში მისი ბრალდების საფუძველი გამხდარიყო. ის კი, რომ ნასვამი ვოლკოვი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილში იგინებოდა, მასპინძელს ხელი გაართყა, ხოლო ლუკაშის მიმართ დანა გამოიყენა, უნდა განეხილათ როგორც განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობა სხეულის დაზიანების მიყენებით და 228-ე მუხლის II ნაწილით დაეკვალიფიცირებინათ.

რამდენადაც მსჯავრდებული ხულიგნურ მოქმედებას აგრძელებდა და ხულიგნური ქვენაგრძნობით მკვლელობა ჩაიდინა, მისი მოქმედება ნინიძის მიმართ სწორად დაკვალიფიცირდა⁴¹.

ჩვენი აზრით, მცდარია უპირველეს ყოვლისა სისხლის სამართლის კოლეგიის განაჩენი ვოლკოვის მიმართ, იმის გამო, რომ ერთი ადამიანის სიცოცხლეზე თავდასხმა, ხოლო მეორის მკვლელობა სასამართლომ ორივე პირის მიმართ დამთავრებულ დანაშაულად დააკვალიფიცირა, მაგრამ ვერ დავეთანხმებით ვერც ზემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელმაც ვოლკოვის მოქმედება ლუკაშის მიმართ ბოროტ ხულიგნობად დააკვალიფიცირა იმ გარემოებებზე დაყრდნობით, რომ ბინაში სტუმრების თანდასწრებით იგინებოდა, ხელი გაართყა მასპინძელს და სხეულის დასაზიანებლად დანა გამოიყენა. მხოლოდ ეს ფაქტი არ შეიძლება ხულიგნობად შეფასებულიყო ხელყოფის ობიექტისა და რაც მთავარია ხულიგნობის მოტივის არ არსებობის გამო.

აქ სახეზეა ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილი მკვლელობის მცდელობა, რადგან ვოლკოვი, რომელმაც დანა დაართყა დაზარალებულს უშვებდა სიკვდილის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ამ შედეგის დადგომა იქიდან გამომდინარე, რომ დარტყმის შემდეგ მას დანით ხელში გამოეკიდა, მაგრამ შედეგი არ დადგა მისგან დამოკიდებული მიზეზის გამო, წინ გადაეღობა მასპინძელი რომელიც მის შეჩერებას შეეცადა. ასეთ შემთხვევაში, განზრახვის უარყოფა დაუშვებელია. ამიტომ, ჩვენი აზრით, მისი მოქმედება ლუკაშის მიმართ არა განსაკუთრებით ბოროტ ხულიგნობად, არამედ ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილი მკვლელობის მცდელობად უნდა განეხილათ და არა საქ. სსრ სსკ 228-ე მუხლის III ნაწილზე, არამედ 19 და 104 მუხლის II პუნქტზე უნდა გადაეკვალიფიცირებინათ.

რაც შეეხება ვოლკოვის მოქმედებას ნინიძის მიმართ, სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა საკითხი.

⁴¹ სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილება.

ხულიგნობის სუბიექტი

ხულიგნობის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ შერაცხადი, სათანადო ასაკს მიღწეული, ბრალეული პირი.

საქ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის II და III ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი, ხოლო ამავე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დამნაშავისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 16 წლის ასაკიდან დგება (იხ. მე-10 მუხლის კომენტარები).

ხულიგნობის სუბიექტური მხარე

ხულიგნობის სუბიექტურ მხარეს მიეკუთვნება, უპირველეს ყოვლისა, ნიშნები, რომლებიც ახასიათებენ ბრალს და მის ფორმებს ე. ი. განზრახვასა და გაუფრთხილებლობას. ამასთან ერთად დანაშაულის შემადგენლობაში შეიძლება გათვალისწინებული იქნეს დანაშაულის სუბიექტური მხრის ნიშნები, რომლებიც ქმედობის ობიექტურ ნიშნებთან ერთად მის საზოგადოებრივ საშიშროებას და მართლწინააღმდეგობას განსაზღვრავენ, კერძოდ მიზანი, მოტივი და სხვა.

ხულიგნური მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის განმსაზღვრელ ნიშანთაგან უმნიშვნელოვანესია, უპირველეს ყოვლისა მიზანი და მოტივი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ნებისმიერი ქცევა, მითუმეტეს დანაშაულებრივი ქცევა სწორედ მიზანსა და მოტივის სწორი ფორმირება არსებულ განმარტებაზე უფრო სრულყოფილად დაახასიათებს აღნიშნული დანაშაულის ბრალის ფორმებს.

რსფსრ სისხლის სამართლის კომენტარებში აღნიშნულია, რომ: „ხულიგნობა — განზრახი დანაშაულია და რსფსრ სს კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, ხულიგნობა გათვალისწინებული 206-ე მუხლის I და II ნაწილით, შეიძლება ჩადენილ იქნას არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ ირიბი განზრახვითაც.

რაც შეეხება განსაკუთრებით ბოროტ ხულიგნობას, რომელიც გათვალისწინებულია რსფსრ სსკ 206-ე მუხლის III ნაწილითა და საქ. რესპუბლიკის სსკ 228-ე მუხლის III ნაწილით, იქედან გამომდინარე, რომ კანონში საუბარია „სპეციალურად მომარჯვებული“ საგნების შესახებ, კანონი სავალდებულოდ თვლის შესაბამისი საგნების მომარჯვებისათვის პირდაპირი განზრახვის არსებობას, ე. ი. პირს შეგნებული აქვს, რომ საგნის მომარჯვება ხდება სხეულის დასაზიანებლად და ზუსტად ამისათვის სურს მისი გამოყენება“⁴².

მეცნიერთა ერთი ნაწილი იმ თვალსაზრისს იცავს, რომ ხულიგნობა შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, ხოლო მეორე ჯგუფი კი მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ ხულიგნობა სუბიექტმა შეიძლება ჩაიდინოს როგორც პირდაპირი, ისე ირიბი განზრახვით⁴³.

ჩვენ მხარს ვუჭერთ მეცნიერთა იმ ჯგუფს, რომელიც აღიარებს, რომ ხულიგნობა შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით და შევეცდებით დავასაბუთოთ ეს მოსაზრება:

⁴² სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებათა კრებული, 1924—1986 წწ., გვ. 707.

⁴³ რსფსრ სსკ კომენტარები, 1985 წ., გვ. 423.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხულიგნობა იმ დანაშაულთაგანია, რომელშიც ვლინდება პიროვნების უარყოფითი დამოკიდებულება საზოგადოებისადმი, სოციალურ და სამართლებრივი ნორმებისადმი, მისი მოთხოვნილება თავი და აღწიოს სამართლებრივ კონტროლსა და ამით ამბოხი გამოუცხადოს მართლწესრიგს, არამედ გამოვიდეს სოციალური კონტროლის ჩარჩოებიდან და ამით უარყოს სოციალური ნორმები, ამიტომ, მართალია საკანონდებლო კონსტრუქცია მიზანს შემადგენლობის კონსტიტუციურ ელემენტებად არ წარმოადგენს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ხაზგასმა ამ მიზანზე აუცილებელია რამეთუ ამ შემთხვევაში ქცევა სწორედ იმ შედეგისათვის ხორციელდება, რომელიც მიზანშია გავალისწინებული.

ხულიგნური მოქმედების მიზანია საზოგადოებრივი წესრიგის ხელყოფა, და თუკი დანაშაულებრივი შედეგი გავალისწინებულია მიზანში და შესაბამისად მოქმედება ხორციელდება ამ შედეგისათვის, შეიძლება ვილაპარაკოთ დანაშაულებრივი მიზნის არსებობაზე და იმაზე, რომ დანაშაული ჩადენილია პირდაპირი განზრახვით,

ბრალის ფორმების დამახასიათებელ მეორე უმთავრეს მიზანს წარმოადგენს მოტივი, რამდენადაც მოტივი ისევე როგორც მიზანში მოცემულია დანაშაულებრივი შედეგი. რსფსრ პლენუმის 1972 წლის № 9 დადგენილებაში ხულიგნური მოტივი განსაზღვრულია, როგორც ინდივიდის „...მისწრაფება გამოავლინოს საზოგადოებისადმი თავისი აშკარა და უხეში უბატვიცემულობა, ნაწილობრივ დააკმაყოფილოს ვიწროეგოისტური, ანარქისტული, მეშხანური მოთხოვნილებები, დაამციროს საზოგადოების სხვა წევრების ადამიანური ღირსებები, უხეში ძალით თავი მოაწონოს სხვებს, დაუპირისპიროს თავი საყოველთაოდ მიღებულ ყოფაქცევის წესებს“⁴⁴.

ჩვენი აზრით, ამგვარი განმარტება არაზუსტია, რადგან მისწრაფება, სურვილი, ნდობა, სხვა არაფერია თუ არა მოთხოვნილების ფორმები, ისინი კი თავისთავად ვერ გამოიწვევს მოქმედებას მიზნისა და მოტივაციის ურთულესი პროცესის შედეგად შემუშავებული მოტივის გარეშე. „მოტივაციის პროცესი ეს არის სუბიექტის მიერ მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზებისა და საშუალებების შესახებ მსჯელობა ხოლო მოტივი კი დასკვნა მიცემულ სიტუაციაში ამა თუ იმ ქცევის აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის შესახებ“⁴⁵.

სავსებით სამართლიანად აღნიშნავს ბატონი დ. უზნაძე, რომ „...მოტივთა შორის ბრძოლის შესახებ საუბარი სრულიად დაუსაბუთებელია. არ არსებობს არავითარი ბრძოლა, დაპირისპირება და აწონდაწონა ერთი და იგივე ქცევის pro და contra მოტივებს შორის, არ არის იმ მიზეზებით, რომ არ არსებობს თვით ქცევა, რომელსაც გააჩნდეს სხვადასხვა მოტივები. უფრო სწორია თუ ვიტყვით, რომ არსებობს იმდენივე ქცევა, რამდენიც მოტივი, რომელიც მას აზრსა და მნიშვნელობას ანიჭებს“⁴⁶.

ხულიგნობის სუბიექტური მხრის ერთ-ერთი დამახასიათებელი მიზანი — ხულიგნობის მოტივი სრულად დამოუკიდებელია და მკვეთრად იმიჯნება ხუ-

⁴⁴ სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებათა კრებული, 1924, 1986 წწ. გვ. 701.

⁴⁵ Т. Шавгулидзе, Г. Лежава, Общественное мнение и правосознание в динамике.

⁴⁶ დ. უზნაძე, თბ., ტ. II, გვ. 212.

ლიგნური ქვენაგრძობისაგან. ჩვენი აზრით, იგი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: ხულიგნური მოტივი — ეს არის მსჯელობის შედეგად მიღებული დასკვნა, რომ სუბიექტისათვის მიცემულ სიტუაციაში აუცილებელი და მიზანშეწონილია საზოგადოებისადმი აშკარა და უხეში უპატივცემულობის გამოვლენა, საზოგადოების სხვა წევრების ადამიანური ღირსებების დამცირება, სხვებისთვის უხეში ძალით თავის მოწონება და საყოველთაოდ მიღებული ყოფაქცევის წესებისადმი დაპირისპირება. მოტივის გამომუშავების შემდეგ ხდება გადაწყვეტილების აქტის მიღება, რომელიც, თავის მხრივ, ქმნის შესაბამისი ქცევის განწყობას და ბოლოს იმ შედეგის მიღწევას, რომელიც ინდივიდს სურდა. ე. ი. მოტივი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხულიგნობა შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

რაც შეეხება ყველანაირი სახის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას, რომელიც ან კამათის საფუძველზე, ანდა პირადი მტრული დამოკიდებულებით წარმოიქმნება, თუ დამნაშავეს საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევის პირდაპირი განზრახვა არ გააჩნია, უსაფუძვლოა დაკვალიფიცირდეს ხულიგნობად.

მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან:

ერთ-ერთი რაიონის სასამართლოს განაჩენით გ. ლორია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქ. სსრ სსკ 228-ე მუხლის II ნაწილითა (ბოროტი ხულიგნობისათვის) და სსკ 110-ე მუხლის I ნაწილით (სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება).

გ. ლორია ცნობილ იქნა დამნაშავედ იმისათვის, რომ მან ბოროტი ხულიგნობა ჩაიდინა: ტაქსის გაჩერებაზე ივინებოდა, შემდეგ მის წინ რივში მდგომ ა. ადამიას წაეჩხუბა, სცემა, რის შემდეგაც ის დაეცა, დაარტყა თავი ასფალტზე და მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება.

საკასაციო ინსტანციებმა განაჩენი ძალაში დატოვეს და პროტესტი, რომელიც მსჯავრდებულის მოქმედების სსკ 115-ე მუხლის I ნაწილით კვალიფიკაციას მოითხოვდა, არ დააკმაყოფილეს.

სსრკ გენერალურმა პროკურორმა უმაღლესი სასამართლოს პლენუმში შეიტანა პროტესტი, რომელშიც დააყენა საკითხი ლორიას მოქმედების საქ. სსრ სსკ 115-ე მუხლის I ნაწილზე დააკვალიფიცირებისა და აგრეთვე მისი ბრალდებიდან საქ. სსრ სსკ 228-ე მუხლის II ნაწილის ამოღების შესახებ საქმის შეწყვეტით.

პლენუმმა საკითხისადმი ამგვარი მიდგომა გაიზიარა და დააკმაყოფილა პროტესტი შემდეგი გარემოების გამო:

როგორც საქმის მასალებიდან გაირკვა, გ. ლორიას ბრალის შემრაცხველი მოქმედება გამოიწვია დაზარალებულის არასწორმა ქცევამ: კერძოდ, შეურაცხყოფამ და ხელის კვრამ ბავშვიანი ქალისათვის რიგის დათმობის გამო, რომელიც ლორიამ ვერ აიტანა და საპასუხო დარტყმით უპასუხა. მოწმეთა ჩვენებებმა დაადასტურა, რომ ლანძღვა-გინება მსჯავრდებულის მხრიდან არ ყოფილა ე. ი. ლორიას ბრალი ხულიგნობის ჩადენაში არ დაადასტურდა, ხოლო მისი მოქმედება, რომელიც მან ფაქტიურად ჩაიდინა, არ შეიცავს ბოროტი ხულიგნობისათვის დამახასიათებელ ნიშნებს იმის გამო, რომ მას არ ჰქონია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის განზრახვა და არ გამოხატავდა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, რის გამოც პლენუმმა საქმე საქ. სსრ სსკ 228-ე მუხლის II ნაწილით ბრალდების საკითხში დაუქვემდებარა შეწყვეტას.

ვინაიდან პლენუმმა არ გაიზიარა საკითხი იმის შესახებ, რომ გ. ლორიამ მოქალაქე ა. ადამიას განზრახ სხეულის მიძიმე დაზიანება მიიყენა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების დასკვნასა და საქმის სხვა მასალაზე დაყრდნობით, დადგინდა, რომ „ისეთი სახის დაზიანება, როგორცაა თავის ქალას ფუძის მოტეხილობა და თავის ტვინის შერყევა დაზარალებულს წარმოექმნა წაქცევისა და ბორდიურზე თავის დარტყმის შედეგად. უშუალოდ მსჯავრდებულის დარტყმა ასეთ შედეგს ვერ გამოიწვევდა, — ნათქვამია დადგენილებაში, — და არც საქმის მასალები იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ გ. ლორია ითვალისწინებდა დაზარალებულის დაცემის შესაძლებლობას და მის შემდგომ შედეგებს და სურდა იგი, ან შეგნებულად უშვებდა ასეთი შედეგების დადგომას.

მაგრამ, ამასთან ერთად, საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, გ. ლორიას შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში შედეგი, რის გამოც პასუხი უნდა აგოს გაუფრთხილებლობით ჩადენილი სხეულის მიძიმე დაზიანებისათვის.

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე პლენუმმა გააუქმა ყველა სასამართლო გადაწყვეტილება გ. ლორიას საქ. სსრ სსკ 228-ე მუხლის II ნაწილით ბრალდების ნაწილში, შემადგენლობის არარსებობის გამო, ხოლო იგივე გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში შეცვალა და მოქმედება დააკვალიფიცირა საქ. სსრ სსკ 115-ე მუხლის I ნაწილით⁴⁷.

არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს ხულიგნობად, აგრეთვე მოქმედება, რომელიც ჩადენილია ხულიგნური ქვენაგობით და ხელყოფს მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას⁴⁸.

სასამართლომ ხულიგნობა უნდა გამოიჩინოს სხვა სახის დანაშაულისაგან იმისდა მიხედვით, თუ როგორია დამნაშავეს განზრახვის შინაარსი და მიმართულება, მის მიერ ჩადენილი მოქმედების მიზნები, მოტივები და გარემოებანი.

1. პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებელი მიცემის დადგენილებისა და განაჩენში ბოროტი ხულიგნობის მაკვალიფიცირებალი ნიშნების ჩვენების აუცილებლობა

საქ. რესპუბლიკის სსკ 228-ე მუხლისა და სხვა რესპუბლიკათა შესაბამისი მუხლების მეორე ნაწილით ხულიგნურ მოქმედებათა კვალიფიკაციისას დადგენილებაში ბრალდებულად ცნობის შესახებ, საბრალდებო დასკვნასა და განაჩენში აუცილებლად უნდა აისახოს, თუ რომელი მაკვალიფიცირებელი ნიშნით მიიჩნევა დამნაშავეს ქმედება ბოროტ ხულიგნობად. ამასთან, თუ ბოროტი ხულიგნობა უპირველად დიდი ცინიზმის ან განსაკუთრებული თავხედობის ნიშნით კვალიფიცირდება, საბრალდებო დასკვნასა და განაჩენში უნდა მიეთითოს თუ დამნაშავეს კონკრეტულად რომელ მოქმედებას თვლის იგი უპირველად ცინიკურად ან განსაკუთრებით თავხედურად⁴⁹.

ამდგავარადვე წყვეტს საკითხს რსფსრ სსკ კომენტარებიც და მიუთითებს, რომ ამ საკითხების სწორი გადაწყვეტისათვის აუცილებელია საქმის კონკრეტული გარემოებების შეფასებიდან ამოვიდეთ მათ ერთობლიობაში, დანაშაულის ჩადენის დროის, ადგილის, გარემოებებისა და ხასიათის გათვალისწინებით.

⁴⁷ სსრკ უმაღლესი სასამართლოს 1968 წლის 10 ოქტომბრის დადგენილება.

⁴⁸ რსფსრ სსკ კომენტარები, 1985 წ., გვ. 421.

⁴⁹ სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის, 16 ოქტომბრის № 9 დადგენილება.

ამ დებულების ნათელსაყოფად მოვიტანოთ სასამართლო პრაქტიკის შემდეგი მაგალითი:

ერთ-ერთი რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ა. ბორისოვი ცნობილი იქნა დამნაშავედ რსფსრ სსკ 206-ე მუხლის II ნაწილით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ იგი დამნაშავედ სცნო დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ბოროტი ხულიგნობისათვის. საქმის მასალებიდან გამომდინარე დანაშაული მოხდა შემდეგ ვითარებაში: ნასვამი ბორისოვი, რომელიც სახლში ბრუნდებოდა, შეცდომით ვალენტინა და ტატიანა შედრინების ბინაში მოხვდა, დაწვა და დაიძინა. სახლში დაბრუნებულმა დიასახლისებმა დაინახეს რა უცხო ადამიანი ოჯახში, გააღვიძეს და მოსთხოვეს მას დეტოვებინა სახლი. ამის პასუხად დამნაშავემ აგინა ვ. შ., ხოლო ცემა ტ. შ.

საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ განაჩენი ძალაში დატოვა. საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმმა არ დააკმაყოფილა ოლქის პროკურორის პროტესტი, რომელიც მოითხოვდა სამართლებრივი შეფასების ცვლილებასა და ქმედების რსფსრ სსკ 206-ე მუხლის II ნაწილიდან I ნაწილზე გადაკვალიფიცირებას.

რსფსრ ვენერალური პროკურორის მოადგილემ ამავე საფუძვლით პროტესტი შეიტანა სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიაში. პროტესტში დასმული საკითხი კოლეგიამ გაიზიარა შემდეგი მოსაზრების გამო:

მართალია, რაიონის სასამართლომ საქმის გარემოებანი სწორად მოიკვლია, მაგრამ ფაქტები არასწორად შეაფასა და ქმედება შეცდომით დააკვალიფიცირა ბოროტ ხულიგნობად, არ მიუთითა, თუ რომელი მაკვალიფიცირებელი ნიშნის მიხედვით ჩაითვალა დამნაშავეს ქცევა ბოროტ ხულიგნობად, მაშინ, როცა სსკ 206-ე მუხლის II ნაწილი ზუსტად განსაზღვრავს ასეთ ნიშნებს: უაღრესად დიდ ცინიზმსა და განსაკუთრებულ თავხედობას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას ან სხვა მოქალაქისათვის წინააღმდეგობის გაწევას, ადრე ნასამართლეობას (თუ იგი კანონით დადგენილი წესით მოხსნილი ან გაუქმებული არ იყო), ანდა ძალადობით, სხეულის დაზიანებით გამოხატულ საზოგადოებრივი წესრიგის დანაშაულებრივ დარღვევას და არ იხელმძღვანელა რა პლენუმის განმარტებით დასახელებული ნიშნები განაჩენში არ ასახა.

სასამართლო, ა. ბორისოვის მოქმედების სსკ 206-ე მუხლის II ნაწილით დაკვალიფიცირებისას, დაეყრდნო მხოლოდ იმას, რომ მსჯავრდებულმა ვ. შედრინა აგინა, ხოლო ტ. შედრინას სხეულის დაზიანება მიაყენა, რითაც უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა გამოხატა, თუმცა ბოროტი ხულიგნობისათვის დამახასიათებელი კონკრეტული ნიშნები განაჩენში არ აუხსნია, სხეულის დაზიანების ხარისხის დასადგენად არ ჩაუტარებია ექსპერტიზა, რომელიც სსკ 79-ე მუხლის თანახმად, აუცილებელი იყო. დაზარალებულები სასამართლო ექსპერტს არ შეუმოწმებია, არ მიუღია მხედველობაში მოწმეებისა და დაზარალებულის ჩვენებები, რომლებმაც აღიარეს, რომ ა. ბორისოვს ტ. შ.-სათვის სხეულის დაზიანება არ მიუყენებია.

აქედან გამომდინარე, კოლეგიამ დაასკვნა, რომ ბორისოვის მიერ ჩადენილი ქმედება, მართალია, ძალადობით ხასიათდება, მაგრამ ვინაიდან განსაკუთრებული თავხედობის ნიშანი, სხეულის დაზიანება არ აღინიშნა, არ შეიძლება დაკვალიფიცირებულიყო ბოროტ ხულიგნობად.

ბორისოვის მოქმედება, რომელიც განაჩენში აისახა, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, საეხსებო ჯდება რსფსრ სსკ 206-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულ შემადგენლობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ შეცვალა ქვემდგომი სასამართლო ინსტანციის განაჩენი და გადაწყვეტილებანი და გადააკვალიფიცირა ქმედება სსკ 206-ე მუხლის I ნაწილზე, სხვა ნაწილში კი სასამართლო გადაწყვეტილებები უცვლელი დატოვა.

ჩვენი აზრით, საეხსებო სწორია ზემდგომი სასამართლო კოლეგიის მსჯელობა იმის შესახებ, რომ დანაშაულის მოქმედების ბოროტ ხულიგნობად დაკვალიფიცირებისას არა მხოლოდ სწორი იურიდიული შეფასება უნდა მიეცათ საქმის ფაქტიური გარემოებისათვის, არამედ განაჩენში ბოროტი ხულიგნობის მაკვალიფიცირებელი ნიშნები ზუსტად უნდა აესახათ, მაგრამ ვერ დავეთანხმებით ვერც პირველი ინსტანციის სასამართლო განაჩენსა და ვერც კოლეგიის გადაწყვეტილებას, თითქოს აქ ადგილი ჰქონდა ხულიგნობას იმის გამო, რომ შეურაცხყოფა, ცემა, ძალადობა (რომლის არა თუ ხარისხი, არსებობაც კი ექსპერტიზას არ დაუდგენია) ჩადენილი ოთახში, გამოწვეული დაზარალებულთა მხრიდან არასწორი დამოკიდებულებით ან სხვა მიზეზით, ანდა ხულიგნური ქვენაგრობით, თუ ის საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევას არ უკავშირდება, არ შეიძლება განხილულ იქნეს ხულიგნობად ხელყოფის ობიექტისა და რაც მთავარია, ხულიგნური მოტივის არარსებობის გამო, მაგრამ, ვინაიდან ა. ბორისოვის მოქმედება, რომელმაც დაზარალებულს ფიზიკური ტკივილი მიაყენა, ძალადობით ხასიათდება და კოლეგიამ ეს აღიარა, ამიტომ, ჩვენი აზრით, მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო არა მარტივ ხულიგნობაზე, არამედ პიროვნების განზრახ მსუბუქი სხეულის დაზიანებასა და ცემაზე, რომელსაც საეხსებო მოიცავს რსფსრ სსკ 112-ე მუხლის II ნაწილის დისპოზიცია.

2. განაჩენში უაღრესად დიდი ცინიზმისა და განსაკუთრებული თავზნდობის ასახვის აუცილებლობა

იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო ბრალდებულის მოქმედებას აკვალიფიცირებს საქართველოს რესპუბლიკის 228-ე მუხლის II ნაწილით ანუ უაღრესად დიდი ცინიზმისა და განსაკუთრებული თავზნდობის ნიშნით ჩადენილ ხულიგნობად, მან აუცილებლად უნდა მიუთითოს განაჩენში დამნაშავეის კონკრეტულად როგორ მოქმედებებს მიაკუთვნებს იგი უაღრესად ცინიკურს და განსაკუთრებით თავზნდურს. ხულიგნური მოქმედების უაღრესად ცინიკურად ან განსაკუთრებით თავზნდურად ცნობის საკითხის სწორი გადაწყვეტისათვის სასამართლო აუცილებელია გამოვიდეს საქმის კონკრეტული გარემოებების შეფასებიდან მათ ერთობლიობაში, დანაშაულის ჩადენის დროს ადგილის, გარემოებისა და ხასიათის გათვალისწინებით⁵⁰.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობის“ ტერმინი მიღებულია 1969 წელს სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 23 მუხლის დამატებად (სსრკ უმაღლესი საბჭოს უწყებები 1969 წლის № 47, გვ. 136)⁵¹.

⁵⁰ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1979 წ. 30/XII № 3 დადგენილება, თემა (აგრეთვე რსფსრ უმაღლესი სასამართლოს 1972 წ. 16 ოქტომბრის № 9 დადგენილება).

⁵¹ რსფსრ სსკ კომენტარები, 1985 წ., გვ. 423. პ. 24.

3. სხვადასხვა დროს ჩადენილ დანაშაულთა კვალიფიკაცია, რომელიც
ბათვალისწინებულია სსკ 228-ე მუხლის სხვადასხვა ნაწილებით

პირის მიერ სხვადასხვა დროს ჩადენილ დანაშაულის ჩადენა, რომელიც
გათვალისწინებულია საქ. სსრ სსკ 228-ე მუხლის სხვადასხვა ნაწილებით, ექვემ-
დებარება დამოუკიდებელ კვალიფიკაციას⁵².

4. სიმთვრალის ცნობა დამამძიმებელ გარემოებად

იმის გათვალისწინებით, რომ ხულიგნობა მეტწილად ლოთობის ნიადაგზე
ხდება, სასამართლოებმა იმ პირებისათვის სასჯელის დანიშვნისას, რომლებმაც
ხულიგნობა სიმთვრალეში ჩაიდინეს, სსრკ-ისა და სხვა რესპუბლიკების სისხლის
სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 34 მუხლის შესაბამისად, უნდა გა-
ნიხილონ საკითხი მისი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ცნობის
შესახებ.

ამ კატეგორიის საქმეების განხილვისას, სასამართლოებმა უნდა გამოავლი-
ნონ ლოთობის ხელშემწყობი მიზეზები და პირობები, მიიღონ ზომები მათ აღ-
საკვეთად, მკვეთრი რეაგირებით უპასუხონ წარმოება-დაწესებულებათა და ორ-
განიზაციათა ხელმძღვანელი პირების შემრიგებლურ დამოკიდებულებას ლო-
თობისადმი.

5. ხულიგნების მიმართ იძულებითი მაშრნალობის გამოყენების
აუცილებლობა

განაჩენის დადგენისას სასამართლოებმა უნდა იხელმძღვანელონ საქ. რეს-
პუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მოთხოვნით და იმ ხუ-
ლიგნების მიმართ, რომელნიც ალკოჰოლისაგან განკურნებას საჭიროებენ გა-
მოიყენონ მკურნალობის იძულებითი ღონისძიების შეფარდება⁵³.

6. ხულიგნობის საქმეებზე სასჯელის ინდივიდუალიზაციის
პრინციპის გამოყენება

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო-
ებმა სასჯელის ზომა, ყველა შემთხვევაში უნდა განსაზღვრონ ხულიგნობის სა-
ზოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა და ხასიათის, დამნაშავის პიროვნებისა
და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა გათვა-
ლისწინებით.

ბოროტი ხულიგნობისა და რეციდივისტების მიმართ სასჯელის მკაცრი
ღონისძიებების გამოყენებასთან ერთად, სასამართლომ ამავე დროს უნდა გაი-
თვალისწინოს, რომ პირთა მიმართ, რომლებმაც შემთხვევით წაიბოროტიეს, პირ-
ველად ჩაიდინეს ხულიგნობა, რომელიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ
წარმოადგენს, კანონს შესაძლებლად მიაჩნია ისეთი სასჯელის ზომის გამო-
ყენებაც კი, რომელიც თავისუფლების აღკვეთას არ უკავშირდება. ეს გათვა-
ლისწინებული უნდა იქნეს აგრეთვე წვრილმანი ხულიგნობის ჩამდენ პირთა
მიმართაც, თანაც მხედველობაშია მისაღები ის, რომ ამ სამართალდამრღვევე-

⁵² იქვე, გვ. 424, პ. 36.

⁵³ სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებათა კრებული, 1924—1986 წწ.,
გვ. 704, პ. 3.

ბისადმი სისხლის სამართლის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაწესებულია არა მხოლოდ პატიმრობის, არამედ აგრეთვე იძულებითი ღონისძიებებისა, გამასწორებელი სამუშაოებისა და ჯარიმის სახით⁵⁴.

7. არასრულწლოვანი ხულიგნობისათვის სასჯელის ღონისძიებათა დანიშვნა

სასამართლოები განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეციდონ ხულიგნობაში არასრულწლოვანთა ბრალდების შესახებ საქმეთა განხილვასა და მათთვის სასჯელის ღონისძიებათა დანიშვნას.

ასეთი საქმეების განხილვისას აუცილებელია ყოველმხრივ და საფუძვლიანად იქნეს გამოკვლეული სამართალდარღვევასთან დაკავშირებული გარემოებანი და მისი ჩადენის პირობები, რათა გამოირიცხოს არასრულწლოვანთა დასჯის ისეთი მოქმედებისათვის, რომელნიც ატარებენ ანცობის ხასიათს⁵⁵.

8. შარი სისხლის სამართლის საქმის აღრიცხვაში

როდესაც სასამართლო წყვეტს საკითხს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ საქ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის I ნაწილით იმ მასალების მიხედვით, რომლებიც წარმოდგენილია მილიციის ორგანოების ან მოკვლევის სხვა ორგანოების მიერ და მივა იმ დასკვნამდე, რომ დანაშაულის შემადგენლობა არ არსებობს, უარს ამბობს სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე. წვრილმანი ხულიგნობისათვის პირის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხს, თუ საამისოდ არსებობს რეალური საფუძველი, წყვეტს მოსამართლე სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულების — „ხულიგნობისათვის პასუხისმგებების გაძლიერების შესახებ“ მე-2 მუხლის III ნაწილის შესაბამისად.

9. საქმის სსკ 228-მ მუხლის პირველი ნაწილიდან გადაკვალიფიციციების თავისებურება

იმასთან დაკავშირებით, რომ იმ დანაშაულთა საქმეებზე, რომელსაც საქ. რესპუბლიკის სსკ 228-ე მუხლის I ნაწილი ითვალისწინებს, დადგენილია გარემოებათა გამოკვლევისა და სასამართლოში მასალების გაგზავნის საგანგებო წესი, ბრალდების შეცვლა და დამნაშავეთა ქმედობის გადაკვალიფიციციება სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებზე, რომლებიც ამძიმებენ განსასჯელის პროცესუალურ მდგომარეობას, სასამართლოში არ დაიშვება.

ასეთ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმე იგზავნება მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების საწარმოებლად.

პლენუმის ამ განმარტების ნათელსაყოფად ისევ მოვიშველიოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან:

ერთ-ერთი რაიონის სახალხო სასამართლომ ი. პეტროვი დამნაშავედ სცნო რსფსრ სსკ 206-ე მუხლის II ნაწილით დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ბოროტი ხულიგნობისათვის.

⁵⁴ იხ. სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებათა კრებული, 1924—1986 წ., გვ. 704, პ. 3.

⁵⁵ იქვე, გვ. 704, პ. 11.

4. „მაცნე“, სამართალი, 1993, 2

ი. პეტროვმა ქუჩაში გააჩერა ა. პეჩნიკოვა ავინა, არ შეუშვა სადარბაზოში, ხოლო შემდეგ ჩანთა ხელიდან გამოსტაცა და თავში დარტყმით სხეულის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენა — ტვინის შერყევის ფორმით.

ზემდგომმა სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განაჩენი ძალაში დატოვა. გენერალურმა პროკურორმა იმავე სასამართლოს პრეზიდიუმში შეიტანა პროტესტი, რომელშიც დააყენა საკითხი მსჯავრდებულის მოქმედების რსფსრ სსკ 109-ე მუხლის I ნაწილზე გადაკვალიფიცირების შესახებ. პრეზიდიუმმა არ გაიზიარა საკითხისადმი ამგვარი მიდგომა და დაუკმაყოფილებელი დატოვა იგი.

აღნიშნული განაჩენი სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაში გაპროტესტდა, ამჯერად სსრკ-ის გენერალური პროკურორის მოადგილემ პროტესტში დააყენა საკითხი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებისა და საქმის ხელახალი გამოძიებისათვის დაბრუნების შესახებ, რომელიც კოლეგიამ დააკმაყოფილა და მიუთითა შემდეგი:

სასამართლომ ყოველმხრივ სრულად და ობიექტურად არ გამოარკვია საქმის გარემოებები, რითაც დაარღვია რსფსრ სსკ 20-ე მუხლის მოთხოვნა წინასწარ გამოძიებასა და სამსჯავრო სხდომაზე პეტროვი არ სცნობდა თავს დამნაშავედ და ამტკიცებდა, რომ დანაშაულის ჩადენის დროს ის მთელი საღამო სახლში იყო, არსად არ გასულა, რასაც მოწმეები მ. და ვ. ადასტურებდნენ, თუმცა ეს გარემოებები სასამართლოს მიერ სათანადო წესით არ შემოწმებულა, არ დაკითხულა მოწმეები პეტროვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებაც, მოწმე გ.-ს ჩვენებაც წინააღმდეგობრივია იმის გამო, რომ ზშირად ცვლიდა მას, ამის მიზეზები კი სასამართლომ არ გამოიკვლია, ბრალდების დასაბუთებისას სასამართლო დაეყრდნო დაზარალებულის დედისა და მოწმე ბ.-ს ჩვენებას, რომელიც 1919 წელს დაბადებულია და ასაკობრივი მხედველობის ნაკლი გააჩნია, რის გამოც გაუნათებელ, ჩაბნელებულ გარემოებაში მომხდარ ფაქტს იგი ვერ დაინახავდა.

დაუდგენელია დანაშაულის მოტივიც სასამართლომ გამოარკვია, რომ ი. პეტროვი და ა. პეჩნიკოვა ადრე ქორწინებაში იმყოფებოდნენ და შეეძინათ შვილი. ა. პეჩნიკოვმა ჩვენებაში აღნიშნა, რომ მისი მეუღლე ზშირად მოდიოდა მასთან სახლში აწყობდა დებოშს, ეჭვიანობდა და ადრე მისი შეურაცხყოფისათვის ნასამართლევიც კი იყო. დანაშაულის ჩადენის დროს ისინი წალაპარაკდნენ, რასაც ურთიერთლანძღვა და ჩხუბი მოჰყვა მხოლოდ ამ დროს შეეძლო პეტროვს მისთვის დაერტყა ე. ი. მისი ჩვენებიდან ირკვევა, რომ დაზარალებულს არ ახსოვს, როგორ ვითარებაში მიიღო მან სხეულის დაზიანება, თუმცა-ლა საავადმყოფოში მან განმარტა, რომ ის დაგორდა კიბეებიდან და კიბის საფეხურს ჩამოჰკრა კეფა, რაც დასტურდება სასწრაფოს სამედიცინო მუშაკების მიერ შევსებული ბარათებით.

მონაცემები იმის შესახებ, რომ სახლის მობინადრეთაგან რომელიმემ გაიგო ზმაური და ამით საზოგადოებრივი წესრიგი დაირღვა არ არსებობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პლენუმმა გამამტყუნებელი განაჩენი გააუქმა და საქმე ხელახალი გამოძიების ჩასატარებლად დააბრუნა. ამავე დროს დადგენილებაში მიუთითა, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების ჩატარება აუცილებელია სხეულის დაზიანების ხარისხისა და მიზეზობრივი კავშირის დასადგენად სხეულის დაზიანება დაცემის შედეგი იყო თუ დარტყმისა⁵⁶.

⁵⁶ რსფსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი № 1, 1978 წელი.

10. სპ. სსრ სსკ 228-ე მუხლის I ნაწილით სისხლის სამართლის საქმეთა აღმგრა და სამართალში მიცემა

იმ დანაშაულთა შესახებ მასალების შემოსვლისას, რომლებსაც ითვალისწინებს საქ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის პირველი ნაწილი, თუ საამისოდ არსებობს საკმაო საფუძველი, სასამართლოს საპროცესო კოდექსში გათვალისწინებული წესით გამოაქვს განჩინება, ხოლო მოსამართლეს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და სამართალში სამართალდამრღვევის მიცემის შესახებ, სასამართლო განხილვის დროს აღნიშვნით, რაც განსასჯელს უნდა ეცნობოს.

საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სხდომის მომზადებასთან, სამსჯავრო სხდომაზე საქმის განხილვასთან, კერძოდ ამ საქმეზე დამცველის მონაწილეობის შესახებ, წყდება სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების მე-13-ე მუხლისა და რსფსრ სსრკ 47-ე და 228-ე მუხლისა და საქ. რესპუბლიკის შესაბამისი მუხლების მოთხოვნათა თანახმად.

11. სპ. რესპუბლიკის სსკ 228-ე მუხლის I ნაწილით საქმის აღმგრისას პირის ცნობა დაზარალებულად ან სამოქალაქო მოსარჩელედ

იმ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებსაც ითვალისწინებს საქ. რესპუბლიკის სსკ 228-ე მუხლის პირველი ნაწილი, საკითხი პირის დაზარალებულად ან სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ წყდება საქმის აღძვრისა და სამართალში სამართალდამრღვევის მიცემის დროს ან სასამართლო განხილვის მოსამზადებელ ნაწილში.

სასამართლოებს ევალეობათ განუმარტონ სათანადო ორგანიზაციებს, რომ მათ უფლება აქვთ ხულიგნობის ჩამდენ პირებს წარუდგინონ სარჩელი ფულადი სახსრების ანაზღაურების შესახებ, რომლებიც მათ დაზარალებულად ითვლებიან დაზარალების ფორმით დაზარალებულის დროებით შრომისუუნარობის პერიოდში⁵⁷.

12. ბანაჩენში ხულიგნობის ახალი მაკვალიფიცირებალი ნიშნების ჩვენების დაუშვებლობა საქმის წინასწარ გამოძიებაში დაბრუნების ბარეში

სასამართლოს დამატებით გამოძიებაში საქმის დაუბრუნებლად, უფლება არ აქვს განაჩენში მიუთითოს ხულიგნობის იმ ახალ, მაკვალიფიცირებელ ნიშანზე, რომელიც პირისათვის ბრალად არ შეურაცხავთ საგამომძიებლო ორგანოებს.

ასეთ შემთხვევაში, საქმე უნდა დაუბრუნდეს მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების ორგანოს დამატებითი ძიების ჩასატარებლად.

13. ხულიგნობის საქმეებში მატერიალური ზარალის ანაზღაურება

ისეთი ხულიგნობისათვის მსჯავრდებისას, რომელთანაც დაკავშირებულია ქონების დაზიანება ან განადგურება, მოქალაქეთა სხეულის დაზიანება, რასაც შრომის უნარის დროებით დაკარგვა მოჰყვება, სასამართლოები ხელმძღვანელობენ რა რსფსრ სსსკ 29-ე და 303-ე მუხლებითა და ჩვენი რესპუბლიკის შესაბამისი მუხლებით, მოვალენი არიან გადაწყვიტონ საკითხი დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ.

⁵⁷ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებათა კრებული 1924—1986 წწ., გვ. 788, პ. 24.

14. წვრილმანი ხულიგნობის საქმეთა განხილვის თავისებურებანი

მოსამართლეთა ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მათ უნდა უზრუნველყონ წვრილმანი ხულიგნობის შესახებ მასალების ყოველმხრივი განხილვა და შემოწმება, აუცილებელ შემთხვევაში მოწმეთა გამოძახება და დამატებით მასალების მოთხოვნა.

როდესაც განიხილება მასალა წვრილმანი ხულიგნობის შესახებ, რომელიც ჩაიდინა პირმა 16-დან 18 წლამდე, აუცილებელია, როგორც წესი, უზრუნველყოფილი იქნეს მშობლებისა და სამუშაო თუ სასწავლებლის ადგილის მიხედვით საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების გამოცხადება.

სასამართლოებმა თავის საქმიანობაში არ უნდა დაუშვან წვრილმანი ხულიგნობისათვის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში იმ პირთა მიცემის შემთხვევები, რომელთა მოქმედება შეიცავს დანაშაულის — თვითნებობა, ცემა, სხეულის მსუბუქი დაზიანება და სხვათა ნიშნებს ან ნიშნებს გადაცდომისა, რომელიც წვრილმანი ხულიგნობას არ წარმოადგენს, მაგრამ კანონით იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას სიმთვრალისას საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამოჩენა, ქუჩაში ან გზაზე მოძრაობის წესების დარღვევა.

სახალხო სასამართლოს დადგენილება გამასწორებელი სამუშაოების ჯარიმით ან ადმინისტრაციული პატიმრობით შეცვლის შესახებ, სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივნისის დადგენილების 2 პუნქტის თანახმად (უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 5 ივნისის დადგენილების პროექტში), წარმოადგენს საბოლოოს და გასაჩივრებას არ ექვემდებარება, მაგრამ შეიძლება გაუქმებულ ან შეცვლილ იქნეს, თვით მოსამართლის მიერ პროკურორის პროტესტის საფუძველზე, აგრეთვე პროკურორის პროტესტისაგან დამოუკიდებლად, ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ.

თუ წვრილმანი ხულიგნობის შესახებ მასალების განხილვისას მოსამართლე იმ დასკვნამდე მივა, რომ სამართალდამრღვევის მოქმედებაში არსებობს არა წვრილმანი ხულიგნობის ნიშნები, არამედ სხვა დანაშაულის ნიშნები, გათვალისწინებული პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობით, მაშინ უნდა გამოიტანოს დადგენილება წვრილმანი ხულიგნობაზე საქმის შეწყვეტის შესახებ. ასეთ შემთხვევაში სამართალდამრღვევის პასუხისმგებლობის საკითხი წყდება იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია სსრკ-ის 27-ე და 109-ე მუხლისა და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი მუხლით, სამართალდარღვევის მოქმედებაში სხვაგვარი დანაშაულის ნიშნების დადგენისას მოსამართლე წყვეტს რა საქმის წარმოებას ხულიგნობაზე, უფლებამოსილია ამავე დროს აღძრას სისხლის სამართლის საქმე და გაგზავნოს საქმე მოკვლევის ან გამოძიების საწარმოებლად ანდა მასალები სავამოძიებო ქვემდებარეობისამებრ გადასცეს⁵⁸.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის, სისხლის სამართლის განყოფილებამ

⁵⁸ სსრკ უმაღლესი სასამართლოს 1972 წ. 16 ოქტომბრის № 9 დადგენილება (პლენუმის დადგენილებათა კრებული), 1974 წ., 1986, გვ. 710—712, პპ. 13—30.

А. Г. ХОШТАРИЯ

УГОЛОВНО-ПРАВОВАЯ КВАЛИФИКАЦИЯ ВРАЧЕБНЫХ ОШИБОК КАК ПРАВОНАРУШЕНИЙ ВСЛЕДСТВИЕ НЕНАДЛЕЖАЩЕГО ИСПОЛЬЗОВАНИЯ ЭВМ

Повсеместное расширение областей использования электронно-вычислительной техники не обошло и такую социально значимую сферу как здравоохранение. Конкретно применение ЭВМ в клинической медицине способствует автоматизации обработки медицинской информации, улучшению постановки диагноза заболевания, выбору наиболее оптимального лечения больного и т. п., не говоря уже о других позитивных результатах в различных разделах практической медицины.

Процесс внедрения ЭВМ в медицину заметно активизировался и имеет тенденцию к дальнейшему развитию, что свидетельствует об актуальности выработки принципиально новой позиции по отношению к правонарушениям в этой области. К сожалению, несмотря на сравнительную давность применения ЭВМ в практической медицине, вопросы уголовной ответственности за тяжкие последствия её ненадлежащего использования оставались вне поля зрения юридической науки. Исследования в этом направлении фактически не проводились, т. к. почти все публикации, посвященные ответственности медицинского персонала за нарушения профессионального долга никак не затрагивают, а отдельные работы, касающиеся правонарушений, совершенных при использовании ЭВМ, вообще не рассматривают проблем противоправности причинения таким способом вреда здоровью больного. Между тем, вероятность совершения врачебных ошибок при использовании ЭВМ в медицине вовсе не снимается. Напротив, из-за своеобразия специфических особенностей возрастает сложность их установления и раскрытия истинной причины возникновения, что требует особого подхода к юридической квалификации для того, чтобы подобные преступные деяния не могли пройти мимо сферы действия уголовного закона при наличии специальной статьи в новом реформированном УК.

Было бы целесообразно начать настоящее исследование с подробного перечисления факторов, обуславливающих либо способствующих возникновению многообразных врачебных ошибок, надобности детального рассмотрения принятой в медицинской литературе их классификации с указанием таких основных групп, как виды, этапы, причины, последствия и категории. Однако ограниченные рамки статьи не позволяют их осветить. Поэтому уместно перейти непосредственно к выяснению юридического содержания понятия врачебной ошибки, т. к. представления о ее правовом значении имеют в медицинской среде резкие отличия, приводя также и к разноречивости определения. В этом отношении достаточно указать, что в подготовленной Академией медицинских наук книге «Этико-психологические проблемы медицины» (М., Медицина, 1978) на с. 308 дано такое определение врачебных ошибок, которые «представляют собой собирательное понятие, охватывающее не только истинные ошибки, но также и проступки и правонарушения медицинских работников... В литературе нет единства

взглядов на трактовку понятия «врачебные ошибки», их происхождение, оценку условий возникновения и их классификацию».

Проведение четкой грани между врачебной ошибкой, как действительно лишь ошибкой добросовестного врача, исключаящей уголовную ответственность при отсутствии злостного умысла или преступной неосторожности, и признаками преступного нарушения профессионального долга, продолжающимися считаться наказуемой врачебной ошибкой, имеет принципиальное значение в вопросе правильной юридической квалификации. В этой связи мы вполне солидарны с мнением тех, чей подход к оценке врачебной ошибки исходит из предпосылки её допущения в силу добросовестного заблуждения, из-за чего она не должна иметь уголовно-правового значения. Ведь на самом деле «врачебные ошибки — это неправильные действия при наличии добросовестного отношения врача к своим обязанностям», как представляет себе их Ю. С. Зальмунин¹. Более определенно высказывается П. Дагель, считающий, что «ошибку могут допустить самые опытные и добросовестные врачи при обстоятельствах, свидетельствующих об отсутствии всякой вины с их стороны»². По-видимому, разделяя эти мнения, Л. Майданик полагает, что «ошибочные действия врача хотя и могут иногда повлечь за собою тяжелые последствия, расценивать как противоправные нельзя, поскольку врач действовал без нарушения каких-либо принятых в данном случае правил лечения»³.

Различия в понимании сущности понятия врачебной ошибки вызвали проведение ряда исследований, целиком посвященных формированию «такого понятия, как врачебная ошибка и её отграничение от всех иных проявлений неправильной врачебной деятельности»⁴. Разногласия в трактовке термина «врачебные ошибки» приводили к значительным отклонениям в их классификации. Исследуя вопросы определения понятия «врачебная ошибка», И. Ф. Огарков предметно показывает полярность таких толкований, когда в первом случае не разграничиваются профессиональные ошибки, совершенные при отсутствии умысла или какой-либо вины, от неосторожных преступных действий по неправильному врачеванию, а во втором — ошибка расценивается только как следствие добросовестного заблуждения врача или существующих объективных условий и обстоятельств, находящихся вне его субъективной воли⁵. Хотя проблема правовой характеристики врачебной ошибки не раз подвергалась исследованию и по поводу понимания этого термина высказывались многие судебные медики и некоторые юристы, в числе которых можно назвать И. Марковина, Н. И. Ижевского, Я. Лейбович, А. Е. Гусева, Ю. Эдель, Ю. С. Зальмунина, И. Ф. Огаркова, Ф. Бердичевского, А. П. Громова, В. А. Глушкова и др., однако по ряду причин эта проблема до сих пор не получила своего окончательного завершения.

Как нам представляется, в основе этих причин лежит неправильность и неоправданность использования самого термина «ошибка» для определения содержания ненадлежащих врачебных действий, которые могут составлять в совокупности признаки наказуемого в уголовном порядке деяния. В то же время термин «врачебная ошибка» имеет право на самостоятельное существование в медицинской терминологии и классификации и закономерное применение для соответствующих случаев, но отнюдь не находится в обороте как юридическое понятие, ввиду неприемлемости по сути своего содержания и несоответствия конкретным неправомерным действиям врачебного персонала, неверно рассматриваемым порой как результат врачебной ошибки. Таким об-

разом, выяснив, что камень преткновения в уголовно-правовой квалификации врачебной ошибки заключается, на наш взгляд, в неприемлемости употребления в правовом контексте этого термина, следует разобратся в различиях его юридической интерпретации, учитывая и отсутствие определения данного понятия в действующем законодательстве. По мнению некоторых авторов (И. Ф. Огаркова, В. А. Глушкова и др.) термин «врачебная ошибка» не относится к юридическим понятиям, т. к. «ни уголовный кодекс, ни комментарий к нему не содержат термина «ошибка». Трактовка его среди врачей весьма разноречивая, причем чаще неточная...»⁶. Отсюда и разноречивость в определении юридической квалификации врачебной ошибки, отражающей различный ракурс подхода к выделению главного в содержании этого понятия, что становится очевидным, когда, как пишет М. Н. Малейна, «в одних случаях ошибкой называют противоправное виновное деяние медицинских работников, повлекшее причинение вреда жизни и здоровью пациента; в других — случайное невиновное причинение вреда; иногда ошибку квалифицируют как обстоятельство, смягчающее ответственность врача»⁷. Вся эта путаница с неопределенностью юридической квалификации понятия врачебной ошибки вызывает необходимость формирования нового определения, пригодного для уголовно-правовых целей при квалификации неправильных врачебных действий, имеющих по нынешним меркам и представлениям форму врачебной ошибки. Сразу же надо оговорить наше толкование врачебной ошибки: при условии добросовестного отношения врача к своим профессиональным обязанностям и неуклонном соблюдении установленных апробированных стандартов — общепринятых медицинских правил и методов лечения, допущенная врачебная ошибка состоит в действиях, приведших к непредвиденным и нежелательным результатам, в отношении которых у врача отсутствовал умысел, а их наступление он не мог предвидеть и устранить, в виду чего не должна наступать его уголовная ответственность, т. к. «в уголовном праве важное значение имеет то, мог или не мог данный человек избежать допущенной ошибки»⁸.

В уголовном праве представляет большую сложность разрешение проблемы ошибки, оказывающей влияние на определение формы вины и соответственно квалификацию совершенного преступного деяния. Определенную ясность в этот вопрос внес В. А. Якушин своей книгой «Ошибка и ее уголовно-правовое значение» (изд. Казанского университета, 1988 г.) где он, наряду с классификацией ошибок в допущенных правонарушениях предлагает с целью правильной квалификации подобных преступлений учитывать характер и содержание ошибок, указывающих на направленность умысла виновного, совершившего сознательный и волевой акт, приведший к вредным последствиям, что в свою очередь сказывается и на принятии решения по реализации уголовной ответственности.

